

მირიან

ცალქალაშანიძე

MIRIAN TSALKALAMANIDZE

გიორგი ჩოჩიბერიძე



ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები  
GEORGIAN OLYMPIC CHAMPIONS



პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი  
ელგუჯა ბერიშვილი

THE PROJECT AUTHOR AND EDITOR-IN-CHIEF  
**Elguja Berishvili**

პროექტის მენეჯერი  
ემზარ ზენაიშვილი

THE PROJECT MANAGER  
**Emzar Zenaishvili**

პროექტის კოორდინატორი  
რუსუდან აფციაური

THE PROJECT COORDINATOR  
**Rusudan Aptsiauri**

ტექსტი  
გიორგი ჩოჩიშვილი

TEXT  
**Giorgi Chochishvili**

დიზაინი  
ვახტანგ შატაიძე

DESIGN  
**Vakhtang Shataidze**

რედაქცია  
ავთანდილ გურასაშვილი, ჯემალ კასრაძე, დავით ქელიძე,  
კარლო ფაჩულია, ზაალ ანჯაფარიძე, ინგა ალავეიძე,  
ნანა ჯოხარიძე, მაია ბერიშვილი, ივანე ბურნაძე

EDITORIAL STAFF  
**Avtandil Gurasashvili, Jemal Kasradze, David Chelidze,  
Inga Alavidze, Karlo Pachulia, Zaal Anjaparidze, Nana Jokharidze,  
Maia Berishvili, Ivane Burnadze**

ფოტო  
მიხეილ ზარგარიანი, ალექსანდრე კოტორაშვილი,  
ჯემალ კასრაძე, [www.sportphoto.ge](http://www.sportphoto.ge)

PHOTO  
**Mikhail Zargaryan, Aleksandre Kotorashvili,  
Jemal Kasradze, [www.sportphoto.ge](http://www.sportphoto.ge)**

პარტნიორები  
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი  
საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიური სოლიდარობა  
საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია

PARTNERS  
**Georgian National Olympic Committee  
Olympic Solidarity of the International Olympic Committee  
Georgian Wrestling Federation**

ISSN 2233-3096  
ISBN 978-9941-0-3434-3

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები



მირიან ცალქალამანიძე

2011





## საზირომ შუაპაური


ცალქალამანიძეები ადრე გვარად გოდაბრელიძეები ყოფილან, მთი-  
ულეები. მერე კასპში, უფრო ზუსტად, კავთისხევში გადმოსახლებულან.  
ერთხელ, როცა მტერი შემოჭრილა მოულოდნელად, მირიანის წინაპარს  
მხოლოდ ცალი ქალამნის ამოცმა მოუსწრია, ისე გავარდნილა სპარსელე-  
ბის დასახვედრად ხმლით ხელში. ვაჟკაცურად უომია, რადგან შემდეგ მე-  
ფემ ახალი გვარი უბოძა — ცალქალამანიძე და ზედ — აზნაურობაც.

მირიანის მამა თელავის რაიონის მშვენიერ სოფელში, კონდოლში ჩასი-  
ძებულა რჩეულიშვილების ოჯახში. იქ დაიბადა 1927 წლის 9 მარტს მირიან  
ცალქალამანიძე, მეღბურნის ოლიმპიადის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში.

მირიანს მსოფლიო არენაზე მთავარ მეტოქეებად სწორედ იმ ქვეყნე-  
ბის შვილები ჰყავდა, რომელთა წინააღმდეგ იქნევდა ხმალს მისი სახელო-  
ვანი წინაპარი. თურქი ჰუსეინ აკბასი, ირანელი მოჰამედ ალი ხოჯასტე-  
პური, შემდეგ აკბასის შემცვლელი, ახალგაზრდა ქალდანი... მაგრამ ეს,  
ცხადია, უკვე იყო უშელავათო, მაგრამ თანასწორი, პატიოსანი და მშვი-  
დობიანი შერკინება. ზოგჯერ რომელიმე უსინდისო მსაჯი თუ შეიტანდა  
დისონანსს მათს ჭიდილში....

იშვიათ შემთხვევასთან გვაქვს საქმე: მირიანმა ჭიდაობის თავისუფა-  
ლი სტილის ათვისება 24 წლისამ დაიწყო, როცა მის წარჩინებულ თანატო-  
ლებს უკვე საპატიო ჯილდოების მთელი ასხმა ჰქონდათ. მანამდე ქართუ-  
ლი ჭიდაობის მეტი არაფერი იცოდა. მამა ადრე გარდაეცვალა ჭიდაობის  
დროს მიღებული ტრავმის გამო, ამიტომ მასწავლებლად და მფარველად  
თავისი ბიძა, შალიკო რჩეულიშვილი ჰყავდა, რომელმაც დისწულს ზედ-  
მინევნით კარგად შეასწავლა ქართული ჭიდაობის ილეთები, ყველგან და  
ყოველთვის ქომაგობდა და რჩევას აძლევდა მას. შალიკო ძია ბანდიტებ-  
მა იმსხვერპლეს და მირიანს სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა ტკბილ-მწარე  
მოგონება თავის მფარველ ბიძაზე.

თავისუფალი სტილის მოჭიდავის სამოსში გამონყობილი მირიან ცალ-  
ქალამანიძე ხალიჩის მრგვალ წრეშიც იმ ქართულს ჭიდაობდა, რომელიც



ერთი ოლიმპიადა, ამდენივე მსოფლიო თასი, ორი მსოფლიო ჩემპიონატი — ეს არის და ეს, თუ საკავშირო და ახალგაზრდულ საერთაშორისო შეჯიბრებებს არ ჩავთვლით. მირიანმა ყველა ამ შეჯიბრებიდან მედლი წამოიღო, ყველაზე მნიშვნელოვანი ჯილდო კი ოლიმპიური თამაშებიდან ჩამოიტანა.



ბავშვობიდანვე ჰქონდა შესისხლხორცებული. თავიდან წელში მოხრაც უჭირდა, რადგან ასეთ დგომში, რითაც იწყება თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ყველა შერკინება, თავის მარჯვე ფეხებს კარგად ვეღარ იყენებდა, წელში გამართული, პირდაპირ, თამამად ერკინებოდა მეტოქეებს და მალე მათ რისხვად იქცა. მერე და მერე, თავისი მწვრთნელისაგან და მაშინდელი შესანიშნავი თაობის ფალავნებისგან დაბლა ხალიჩაზე, ე.წ. პარტერში ჭიდაობაც ისწავლა და მის მონინაალმდეგეებს ჩოქბჯენშიც ისე უჭირდათ მირიანის გადატრიალება, როგორც ფეხით ნაქცევა. მაგრამ ფონს ძირითადად მაინც ქართული ჭიდაობის ილეთებით გადიოდა. სარმების ოსტატი იყო, მის უმთავრეს ილეთად კი შუაკაური ითვლებოდა. ჩაახვევდა ხოლმე უსურვაზივით ფეხს მირიანი და თავის მეტოქეს ან წინ ისროდა, ან უკან.

მაგრამ გდებაც არის და გდებაც. მირიანს საკუთარი, განუმეორებელი ხელწერა ჰქონდა, ილეთის დროს თვითონაც თან მიჰყვებოდა მეტოქეს. ძველი მოჭიდავეები ახლაც სიამოვნებით იხსენებენ მირიანის „საფირმო“ ფანდს, როგორც ულამაზეს სანახაობას, — ჰაერში გაფრენილ ორ ფალავანს, რომელთაგან ერთი უეჭველად ბეჭებზე დასანარცხებლად იყო განწირული, მეორე კი — გამარჯვებულის რანგში ფეხზე წამოსადგომად. სწორედ ამ ილეთით მოიგო თავისი ოლიმპიური ოქროს მედალი მელბურნში, ფინალურ შეხვედრაში, როცა მხოლოდ სუფთა გამარჯვება სჭირდებოდა. ასე მოიგო მრავალი სხვა შეჯიბრებაც.

მირიან ცალქალამანიძის სპორტული კარიერა მართლაც ერთ გაელვებას ჰგავდა: დიდ სპორტში გამოსვლა სულ ექვსიოდე წელიწადში დაასრულა, ამიტომ მის ბიოგრაფიაში დიდ საერთაშორისო შეჯიბრებათა იმდენად მწირი ნუსხაა, სხვები რომ ახლა ორიოდე წელიწადში მოითავებენ ხოლმე. თანაც მაშინ, 1950-იან წლებში, მოგეხსენებათ, მსოფლიო ჩემპიონატები არა ყოველწლიურად, არამედ სამ წელიწადში ერთხელ ეწყობოდა.

ერთი ოლიმპიადა, ამდენივე მსოფლიო თასი, ორი მსოფლიო ჩემპიონატი — ეს არის და ეს, თუ საკავშირო და ახალგაზრდულ საერთაშორისო შეჯიბრებებს არ ჩავთვლით. მირიანმა ყველა ამ შეჯიბრებიდან მედალი წამოიღო, ყველაზე მნიშვნელოვანი ჯილდო კი ოლიმპიური თამაშებიდან



ჩამოიტანა. კიდევ იყო ორი გამარჯვება, — ჯერ ბუდაპეშტში, სტუდენტთა 1954 წლის მსოფლიო თამაშებზე, შემდეგ 1955 წელს — ვარშავაში გამართულ ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალზე. მეტისმეტად ხანმოკლე სპორტული კარიერა ისე დაამთავრა, რომ ერთხელაც არ მოუწია ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლა.

ყველა სპორტსმენს აქვს ხოლმე გამორჩეული წელიწადი. მირიანისთვის, რა თქმა უნდა, ეს სწორედ 1956 წელი იყო, მაგრამ იმ სეზონზე ავსტრალიური ტრიუმფის გარდა, სხვა ტურნირებიც გახლდათ გამოსარჩევი და მნიშვნელოვანი.

### **ოლიმპიური პრელუდია**

ოლიმპიურ წელს ჯერ თურქეთში იყვნენ ქართველი მოჭიდავეები, რასაკვირველია, საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში. მაშინ სხვა დრო იყო. რუსეთში, მთელი თავის გუბერნია-მხარეებიანად ჯერ კიდევ ანტიკური და თავისუფალი ჭიდაობის ათვისება-შესწავლა მიმდინარეობდა. შემთხვევითი არ არის, რომ ეს საქმე სხვებზე უკეთესად ქართველ მოჭიდავეებს გამოსდიოდათ. ჩვენი ფალავნები, საუკუნეებგამოვლილი ეროვნული ჭიდაობის წყალობით, ხშირად ამარცხებდნენ მეტოქეებს და ნაკრებ გუნდში, უნდოდან იქ თუ არ უნდოდან, ბევრი იმკვიდრებდა ადგილს. მირიანი ამ თვალსაზრისით არ დაუჩაგრავთ — გადამწყვეტ შერკინებებში სხვებს ყოველთვის ჯობნიდა და ნაკრების კარიც ღია იყო მისთვის. საბჭოთა ნაკრების მწვრთნელებს — ვლადიმერ კრუტკოვსკის და მით უფრო დავით ციმაკურიძეს, და სხვებსაც, ყოველთვის სჯეროდათ მირიანის.

მირიანს საშინაო არენაზე ძირითადად ორი ძლიერი მეტოქე ჰყავდა: მინსკელი იგორ კარავაევი და ბაქოელი გიორგი საიადოვი. ერთთანაც წაუგია და მეორესთანაც, მაგრამ 1954-დან 1957 წლამდე მირიან ცალკეულამანიძე მაინც პირველ ნომრად ითვლებოდა თავის წონაში, თუმცა რამდენჯერმე სცაადეს ამაში ეჭვის შეტანა.





ოლიმპიურ, 1956 წელსაც ამ ორი მეტოქის ძლევა მოუხდა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში გასამარჯვებლად, რაც ქვეყნის ჩემპიონის ტიტულსაც გულისხმობდა.

1956 წელს, ოლიმპიადის გარდა, ყველაზე მნიშვნელოვანი ტურნირი იყო მაისში მსოფლიო თასის გათამაშება სტამბოლში. საბჭოთა გუნდში გამოდიოდნენ მირიან ცალქალამანიძე, ანზორ მაისურაძე, ცხინვალელი ალიმბეკ ბესტაევი, ვახტანგ ბალაგაძე, გიორგი სხირტლაძე, მოსკოვში გადასული არსენ მეკოკიშვილი. მხოლოდ ორი მოჭიდავე — სალიმულინი და კულაევი იყვნენ სხვა რესპუბლიკებიდან.

თურქებისთვის ჭიდაობა უპირობოდ სპორტის №1 სახეობა იყო. თურქები ეთაყვანებოდნენ თავიანთ ფალავნებს და ყველგან მათი სურათები ჰქონდათ გამოკრული. ვიდრე მსოფლიო თასის გათამაშება დაიწყებოდა, ქვეყნის პრეზიდენტმა მედრესმა თავის მოჭიდავეებს მიღება გაუმართა და ყველანი საპრეზიდენტო ოქროს საათით დააჯილდოვა. სტამბოლის ცნობილი არენის, „მეთხატ ფაშას“ სტადიონის ტრიბუნები შეჯიბრების დღეებში მუდამ სავსე იყო. 35 ათასი ეგზალტირებული თურქი არა მარტო მორალურ, არამედ ფიზიკურ საფრთხეს უქმნიდა ჩემპიონატის მომსახურე მსაჯებს და, ცხადია, დამთრგუნველად მოქმედებდა სტუმარი ქვეყნების მოჭიდავეებზეც. თანამემამულეთა მხარდასაჭერად შემართულ თურქთა ობიექტურობაზე ლაპარაკი არ ღირდა — სახლში თურქმა უნდა მოიგოს და მორჩა! ამიტომ იშვიათი არ იყო „ფირფიტის გადაბრუნების“ მცდელობა მსაჯების მიერ, როცა დამარცხებულად გამოცხადებული თურქი, საყოველთაო პროტესტის შემდეგ, გამარჯვებული ხდებოდა. სწორედ ასე მოხდა არსენ მეკოკიშვილისა და თურქი ჰამიდ ყაფლანის შერკინების შემდეგ. 45 წლის არსენამ დამაჯერებლად მოუგო ყაფლანს, ან კი ვინ იყო მისი მომრევი თავისუფალ ჭიდაობაში, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, გაცეცხლებულ მაყურებელთა აუნერელ გნიასში, გამარჯვებულად თურქი გამოაცხადეს (?!). ნაკრების მწვრთნელმა დავით ციმაკურიძემ თბილისში ფოტობრალდება ჩამოიტანა: მსაჯს მალლა ანეული მეკოკიშვილის ხელი

მირიანს საკუთარი, განუმეორებელი ხელწერა ჰქონდა, ილეის დროს თვითონაც თან მიჰყვებოდა მეტოქეს. ძველი მოჭიდავეები ახლაც სიამოვნებით იხსენებენ მირიანის „საფირმო“ ფანდს, როგორც უღამაზეს სანახაობას — ჰაერში გაფრენილ ორ ფალანგს, რომელთაგან ერთი უეჭველად ბეჭებზე დასანარცხებლად იყო განწირული, მეორე კი — გამარჯვებულის რანგში ფეხზე წამოსადგომად. სწორედ ამ ილეითი მოიგო თავისი ოლიმპიური ოქროს მედალი მელბურნში, ფინალურ შეხვედრაში, როცა მხოლოდ სუფთა გამარჯვება სჭირდებოდა. ასე მოიგო მრავალი სხვა შეჯიბრებაც.





უჭირავს, გვერდით კი თავნახრილი და დამარცხებული ყაფლანი დგას, რომელიც ბედს შერიგებია.

რაც შეეხება მირიან ცალქალამანიძეს, მან „ზედიზედ დაანყო მონინა-ალმდეგენი: პირველ დღეს — ფრანგი ანდრე ზოეცი და ირანელი პანახ რა-უიუტი, მეორე დღეს — იტალიელი ლუჩეზო ჩიკალო და იაპონელი ლიდო კაცონო. მაგრამ არც მისი მთავარი მონინაალმდეგე, პირველობის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი თურქი აკბასი ჩამორჩებოდა ქართველს და ისიც ზედიზედ ალაგებდა მოცილეებს. და აი, მაყურებელთა ინტერესმა კულმინაციურ წერტილს ამ ორი ღირსეული მეტოქის შერკინების დროს მიაღწია. ჭიდილი მირიანის უპირატესობით მიმდინარეობდა. მაგრამ მოხ-და რაღაც დაუფერებელი და უცაბედი საბედისწერო შეცდომა ქართვე-ლისთვის: მირიანს თავი ხალიჩის გარეთ ეგონა და მიამიტად გადატრიალ-და გულაღმა. განცვიფრებული აკბასი ეცა პირაღმა წამოწოლილ მირიანს, დაანვა და ბეჭებით დაანვინა. მირიანი იძულებული იყო მეორე ადგილით დაკმაყოფილებულიყო.“ ( ამირან ცამციშვილი, „სპორტის დამსახურებუ-ლი ოსტატები.“ 1959).

## ეშხაკი აკბასი

ეს თურქი მართლაც უნიკალური მოვლენა გახლდათ ჭიდაობაში და პირდაპირ ბედისწერად ექცა მირიანს. სამჯერ შეხვდა ყველაზე მნიშ-ვნელოვან ტურნირებზე და სამივეჯერ დამარცხდა. თურქს მოჭიდავისა ყველაფერი ჰქონდა — ძალა, სისწრაფე, ტექნიკა, ტაქტიკური ეშმაკობა, მაგრამ მარჯვენა ფეხი ჰქონდა მოკლე და გაშეშებული. მაგრამ ეს დიდი ფიზიკური ნაკლი აკბასმა მრისხანე იარაღად აქცია. გამოიშვერდა ეშ-მაკი თურქი თავის გაშეშებულ მარჯვენა ფეხს ანკესივით და ვაი იმას, ვინც მას წამოეგებოდა. ფეხის წართმევა ძალიან მომგებიან სიტუაცი-ას უქმნის თავისუფალი სტილის მოჭიდავეს და ბევრი ამას, აკბასთან შეხვდრაში, ლამის ინსტიქტურად აკეთებდა, თუმცა კი გრძნობდა მო-

სალოდნელ ხიფათს. სახელოვან თურქს ასეთ შემთხვევაში ბრწყინვალე კონტრილეთი ჰქონდა მომზადებული — უკუგდება. თუმცა, შეიძლება აკბასს სხვაგვარი დგომა არც შეეძლო და ამიტომ ისწავლა თავის დაცვა ასე მოხერხებულად. ეს ყველაფერი მირიანმა კარგად იცოდა, ამიტომ მათი ჭიდაობა ასე ცალხაზოვანი არ ყოფილა. „ჩემზე უკეთესად ჭიდაობდა და ამიტომ მჯობნიდა“, — ალაღად, როგორც სჩვეოდა, აღიარებდა მირიანი. თურქთან ჭიდილი ცალკე იმით იყო ძნელი, რომ ხალიჩაზე თითქმის დაჩოქილი გამოდიოდა. დღევანდელი წესებით, პირველსავე წამებში მსაჯი გაფრთხილებას მისცემდა, მაგრამ იმ დროს, როგორც ჩანს, ითვალისწინებდნენ აკბასის ფიზიკურ ნაკლს. დგომში ფეხებით ბრწყინვალედ მოჭიდავე მირიანისთვის კი ლამის მწოლიარე მეტოქის ძლევა მეტისმეტად ძნელი იყო. ისე, მირიანის წინააღმდეგ ფეხებში ჩავარდნას ბევრი სხვა მეტოქეც მიმართავდა, რადგანაც კარგად იცოდნენ, რა ბედი ეწეოდათ დგომში.

1956 წელს, მსოფლიო თასის გათამაშებაზე, ხალიჩის მასპინძლებმა, ნებადართული თუ აკრძალული ილეთების გამოყენებით, ისეთ წარმოუდგენელ შედეგს მიაღწიეს, რომელსაც არ იმსახურებდნენ: რვა წონიდან ექვსში პირველი ადგილი დაიკავეს და მხოლოდ ორი უმაღლესი ჯილდო გაატანეს სხვებს — ცხინვალელ ბესტაევს და იაპონელ სასაჰარას.

სამაგიეროდ, საბჭოთა კლასიკური სტილის მოჭიდავეთა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში ბრწყინვალედ იასპარეზა გივი კარტოზიამ, დამაჯერებელი რევანში აიღო — 6 გამარჯვება და, მასთან ერთად, ცხადია, გუნდური პირველობაც. ეს იყო ნამდვილი გენერალური რეპეტიცია მეღბურნის ოლიმპიადის წინ, 4 თვით ადრე...

მირიან ცალქალამანიძის ავსტრალიაში გამგზავრება ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ ტაშკენტში, სადაც მთელი საბჭოთა დელეგაცია იმყოფებოდა დასკვნით შეკრებაზე, ოლიმპიადამდე თვენახევარით ადრე, მირიანს ლავინის ძვალი გაუტყდა. ეს ამბავი შეემთხვა ზაურ მჭედლიშვილთან შერკინების დროს. მირიანს და სხვა ჩვენს მოჭიდავეებს მუდამ უჭირდათ ზაურთან გამკლავება, რადგანაც ქართული ჭიდაობის ილეთით მასთან



ვერაფერს გახდებოდი. ყოფილა შემთხვევა, მირიანიც დაუმარცხებია დამაჯერებლად. ტაშკენტის ინციდენტი კი, უბრალოდ, უიღბლობა იყო.

ეს სხვებისთვის დასასრული იქნებოდა, მაგრამ 29 წლის ფალავანი მაინც არ გატყდა — კროსს დარბოდა, სპეციალურ ვარჯიშებს ასრულებდა, სხვადასხვა გდების იმიტაციას ცდილობდა... თაბაშირი მეღბურნში გამგზავრებამდე ორი კვირით ადრე მოხსნეს. საბჭოთა კავშირის სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობა უკვე კითხულობდა, ცალქალამანიძის ნაცვლად გუნდში იგორ კარავაევს რატომ არ აყენებთო. მაგრამ მირიანს უფროსი მწვრთნელი კრუტკოვსკი წამოეშველა და ბოლომდე მტკიცედ დაიცვა იგი.

მირიან ცალქალამანიძე: „ჩემი სპორტული მოღვაწეობის დროს, თუ რაიმე საძნელე შემხვდებოდა ხოლმე, გულს არ ვიტეხდი — ვგრძნობდი, რომ ჭკუაყ მქონდა, ძალაც და სისწრაფეც. სხვა რატომ უნდა მომრეოდა?! ჩემ თავში დარწმუნებული ვიყავი, უშიშრად ვიბრძოდი, მორალურად არ ვეცემოდი და სხვას რატომ უნდა ეჯობნა ჩემთვის?! პირიქით, ჯიბრით უკეთესად ვჭიდაობდი და ვიგებდი ხოლმე. საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელს ვლადიმერ კრუტკოვსკის, დავით ციმაკურიძესა და სხვებს ჩემი ნდობა ჰქონდათ.“

მირიანს იმანაც უშველა, რომ მეღბურნის მედლის ერთ-ერთი პრეტენდენტი, სწრაფად მზარდი ირანელი ფალავანი მოჰამედ ხოჯასტეკური, ძალიან ღონიერი და ტექნიკური მოჭიდავე, კარავაევს მოსკოვში გამართული სამატჩო შეხვედრის დროს თამაშ-თამაშ გაუსწორდა. მირიანს კი იმ ახალგაზრდა ირანელის სამჯერ ძლევა მოესწრო.

## **ბელადის თავი და სულხანიშვილის საათი**

და მაინც, ტაშკენტიდან იგი სათადარიგო მოჭიდავედ გაემგზავრა. პირველი ნომერი ბაქოელი გიორგი საიადოვი იყო — უმჩატესი წონის ხუთ სანაკრებო კონკურენტთაგან მწვრთნელმა ეს ორი დატოვა. დანარჩენი



მელბურნის თამაშებიდან  
მობრუნებული ქართველი —  
ფალავნები —  
ოლიმპიური ჩემპიონი  
მირიან ცალქელამანიძე  
(მარჯვნივ) და ბრინჯაოს  
მედალოსანი ვახტანგ  
ბალავაძე.  
მოსკოვი, 1956 წელი





ვახტანგ ბალაფაძე:  
 „თავისუფალი სტილის მო-  
 ჟიდავის სამოსში გამონ-  
 ყობილი მირიან ცალქალა-  
 მანიძე ხალიჩის მრგვალ  
 წრეშიც იმ ქართულს  
 ჭიდაობდა, რომელიც ბაე-  
 შვობიდანვე ჰქონდა შე-  
 სისხლხორცებული.  
 მე კარგად მახსოვს მირი-  
 ანის პირველი ნაბიჯები  
 ჭიდაობაში. ჩვენი თაობის  
 ფალანგები, როგორც წე-  
 სი, ქართული ჭიდაობით  
 იწყებდნენ და ამის შემდეგ  
 სდებოდნენ დიდი ჩემპიო-  
 ნები. მან კარგად იცოდა  
 ქართული ილეთები და  
 როგორც კი გამოჩნდა,  
 სულ რაღაც ერთ წელი-  
 ნადში, საბჭოთა კავშირის  
 ნაკრებში შეიყვანეს. ეს  
 უკვე დიდი წარმატება იყო,  
 იმის მანიშნებელი, რომ სა-  
 ერთაშორისო სარბიელზე  
 გზა ხსნილი ჰქონდა.“



სამი — კარავაევი, მჭედლიშვილი და ზაიფულინი სახლში გაისტუმრეს. ბედად, ბირმაში 10 დღით უნდა შეჩერებულიყვნენ, სანვრთნელ შეკრებაზე. იქ მირიანმა ორჯერ დამაჯერებლად აჯობა ბაქოელს და როლები შეიცვალა. საკავშირო ნაკრების მწვრთნელების გადანყვევტილების სისწორე თავად მელბურნის ოლიმპიადამ დაადასტურა — თავისუფალ ჭიდაობაში საბჭოელთაგან მხოლოდ მირიანმა დაიმსახურა ოქროს მედალი. 44 წლის არსენ მეკოკიშვილიც არავის დაუთმობდა ოქროს, მაგრამ ტაშკენტიდან მოსკოვში გააბრუნეს პოლიტიკური მიზეზების გამო. მოგეხსენებათ, 1956 წელს, ნიკიტა ხრუშჩოვმა სტალინის, როგორც პიროვნების კულტი გამოაცხადა. ტაშკენტის სპორტული ბაზის სასტუმროში ლენინ-სტალინის ბიუსტი იდგა. ვიღაც რუსს სტალინისთვის თავი მოგელიჯა. ამის დანახვაზე არსენამ, რომელიც ადრე ბელადის დაცვაში მუშაობდა, ველარ მოითმინა და ლენინსაც მოაგლიჯა თავი, უთავო პროლეტარიატის ბელადი კი თვითონ წარუდგინა მწვრთნელებსა და სპორტსმენებს. ამას ვინ აპატიებდა და მელბურნში ქართველი გოლიათის ნაცვლად უკრაინელი ვიხრისტიუკი გაემგზავრა. მოგვიანებით, ამის გამო მწარედ ინანეს ნაკრების ხელმძღვანელებმა და მწვრთნელებმა, — არსენას შემცვლელმა მხოლოდ მე-6 ადგილი დაიკავა, ამის გამო კი სსრ კავშირის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა გუნდი თურქებს ჩამორჩა და მხოლოდ მეორე ადგილი ხვდა წილად. არადა, ვიმეორებ, 44 წლის არსენას მაშინაც ბადალი არ ჰყავდა მსოფლიოში... არსენას და მირიანს, ბუნებრივია, ახლო ურთიერთობა ჰქონდათ.

მირიან ცალქალამანიძე: „მეკოკიშვილი სამაგალითო სპორტსმენი და მეგობარი იყო. მეტყოდა ხოლმე — აბა, შენ იცი, თუ მოიგებ, მეც მოვიგებ, მთელი საქართველო ჩვენი წარმატების მოლოდინშიაო. ავსტრალიაში რომ წაეყვანათ, ისეთ ფორმაში იყო, უთუოდ მეორედ გახდებოდა ოლიმპიური ჩემპიონი. მაინც რა ბიჭები გყავდა, დედამინის ერთი მეექვსედის ნაკრებში უმეტესობა ქართველები ვიყავით, ყველგან პატივს გცემდნენ და ანგარიშს გვინევდნენ. მართალია, მკერდზე „სსრკ“ გვენერა, მაგრამ მაშინ სხვა გზა არ იყო... ერთ ამბავს გავიხსენებ. 1958 წელს საბჭოთა



მოჭიდავეები ამერიკაში ვიყავით და მასპინძელთა ნაკრებთან რამდენიმე ამხანაგური მატჩი გავმართეთ. ერთ-ერთი შეხვედრის შემდეგ, ვილაც ახოვანი კაცი პირდაპირ არენაზე გადმოხტა, გადამკოცნა და ქართულად მკითხა, სადაური ხარო. მერე ცრემლი მოერია, კიდევ ერთხელ გადამეხვია, მაჯიდან საათი მოიხსნა და მაჩუქა. ის კაცი იყო ამერიკაში გადახვეწილი ალექსანდრე სულხანიშვილი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი. დიდი ხნის მერე, უკვე ხანდაზმული სულხანიშვილი სამშობლოში რომ დაბრუნდა, გადავწყვიტე მომენახულებინა, მაგრამ ეს ვერ მოვახერხე — მალე გარდაიცვალა... ამერიკელებს ჩემს წონაში ჰყავდათ გამოცდილი რიჩარდ დელგადო. ერთ-ერთი შეხვედრისას, ლეიბზე გასვლის წინ, რატომღაც, ისე ვლელავდი, რომ პირი მიშრებოდა. დელგადომ ეს შეამჩნია, ხელი ჩამავლო, წყალთან მიმიყვანა და მითხრა — გამოივლეო. მისი დიდსულოვანი საქციელი არასოდეს დამავიწყდება.“

### ჩემპიონის კამარა

საინტერესოა, რომ მირიანი მანამდეც არაერთხელ შეხვედრია დელგადოს, მათ შორის — მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე. ჩვენმა ფალავანმა პირველ წრეში სწორედ დელგადოსთან იჭიდავა და იმის მიუხედავად, რომ მისი ამერიკელი მეტოქეც ძალზე ტექნიკური იყო და დამაჯერებლად მოქმედებდა, მსაჯებისთვის ყოყმანის საბაბიც არ დაუტოვებია. მაგრამ მეორე წრეში, როცა იაპონელ ტადასი ასაის შეხვდა, არბიტრების პრობლემა მთელი სიგრძე-სიგანით დაუდგა წინ. ყველამ დაინახა, რომ ცალქალამანიძემ აშკარად დაჯაბნა იაპონელი მოჭიდავე, მაგრამ სამიდან ორმა მსაჯმა ასაის სასარგებლოდ გადანყვიტა შერკინების ბედი. ისეთი გაუგონარი უსამართლობა იყო, რომ საბჭოთა გუნდის უფროსობა იქით იყოს, კინალამ აღშფოთებული მაყურებელიც ეცა სამსაჯო მაგიდას. პროტესტმა გაჭრა და მირიანს დამსახურებული გამარჯვება მაყურებელთა ტაშის გრიალში დაუბრუნეს.




ჯუშბერ დავლიანიძე: „მირიანი ფიზიკურად ძალიან ძლიერი, მოუხელთებელი, ნამდვილი კერკეტი კაკალი იყო. ასეთი სწრაფი მოჭიდავე ცხოვრებაში არ მინახავს. წყალზე გაირბინა ერთხელ მოსკოვში, კრილატსკოვს არხში, სადაც ნავებით სეირნობდნენ საბჭოთა ნაკრების წევრები. მირიანმა ნიჩბით წყალი შეასხა ოთარ კანდელაკს, ის კი ადგა და საპასუხოდ ნავი ამოუტორიალა. რა ენაღვლებოდა, თვითონ შესანიშნავად ცურავდა, მირიანს კი ცურვა არ სცოდნია. ამიტომ, დახრჩობას რომ გადაჩენოდა, წყლიდან უცებ ამოხტა და მის ზედაპირზე საოცარი სისწრაფით შეიძლი თუ რვა ნაბიჯი გაირბინა, მხოლოდ კოჭებადვე ჰქონდა ფეხები წყალში, ნაპირთან, თავთხელზე კი ჩაიძირა წელამდე.“

მესამე წრეში ზაფრაგადატანილმა მირიანმა ცოტა ამოისუნთქა — უპრობლემოდ გააკრა ბეჭებზე ინდოელი ბაბან დავარი. მომდევნო წრეში მირიანს თავად ჰუსეინ აკბასი ელოდა, ვისთანაც მანამდე ორჯერ დამარცხდა წმინდად. ეს პრინციპული შეხვედრა თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. მეტოქეები უკვე კარგად იცნობდნენ ერთმანეთს, ფრთხილობდნენ და ხელსაყრელ მომენტს ელოდებოდნენ. მირიანს ბრძოლის ასეთი მიმდინარეობა ხელს არ აძლევდა და რადგან თავისი შუაკაურით და შუასარმით ვერაფერს გახდა, გარესარმა სცადა. მაგრამ ჭკვიანმა თურქმა, რომელიც ოთხჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი, ეს მომენტი სათავისოდ გამოიყენა და მირიანი ერთი წამით ჩოქბჯენში აღმოჩნდა. ის ერთი წამი თურქისთვის ერთ მომგებიან ქულად გადაიქცა და ამ მიზეზული უპირატესობით გაიმარჯვა კიდევ. აკბასის საქმე თითქოს გადაწყვეტილი ჩანდა — მირიანის გარდა, მეტს ვის უნდა გადაეკეცა თურქისთვის ოლომპიური ოქროს მედლისკენ მიმავალი გზა.

როგორც აღმოჩნდა, სულ სხვა გეგმები ჰქონია ახალგაზრდა ამბიციური ირანელს, მოჰამედ ხოჯასტეპურს. მან უკომპრომისო ბრძოლაში აშკარად აჯობა სახელიან თურქს, რაც იმას ნიშნავდა, რომ მირიანს კვლავ გაუჩნდა ჩემპიონობის შანსი. თუ მე-5 წრეში ჩვენი ფალავანი ირანელს სუფთად ძლევდა, ოლიმპიური ჩემპიონი ხდებოდა, თუ მხოლოდ ქულებით — მაშინ აკბასი გადიოდა პირველ ადგილზე.


„არ ვიცოდი, შევძლებდი თუ არა ხოჯასტეპურის დამარცხებას, — უთხრა მოგვიანებით მირიანმა ცნობილ სპორტულ ჟურნალისტს იან დი-



მოვს, — მას არაჩვეულებრივი ღონე ჰქონდა. ხუმრობა ხომ არ არის — აკბასს მოუგო!.. მაგრამ ამაზე არ ვფიქრობდი, ვიცოდი, რომ თავი უნდა გადამედო, უნდა მეჭიდავა ისე, როგორც ჩემ დღეში არ მიჭიდავია... ორთაბრძოლის წინ ფოიეში გავედი. გამახსენდა ჩემი სახლი, ჩემი უბედური შალიკო ძია, — ახლაც მახსოვს მისი ღიმილი, — გამახსენდა ჩემი მწვრთნელი კაპიტანოვი, ჩვენი ბიჭები, რომლებიც მეხმარებოდნენ... რა თქმა უნდა, გამახსენდა ისიც, რომ ორმოცი დღე ლავინის გატეხვის გამო რიგიანად არ მივარჯიშია, მწვრთნელებმა კი გუნდში შემეყვანეს, სჯეროდათ ჩემი... და მეც გავედი საჭიდაოდ...”

სამი წუთის განმავლობაში მირიან ცალქალამანიძე ქორივით უტრიალებდა მოჰამედ ხოჯასტეპურს, ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა. მერე კი კონდოლში შესისხლხორცებული იღეთი, მისი ცნობილი შუაკაური უნაკლოდ გამოიყენა, ფეხი ჩაუხვია მეტოქეს და წინ გადაგდებით ირანელი ბეჭებზე გააკრა. თვითონვე წამოაყენა ფეხზე დამარცხებული და გადაეხვია.

— „გადმოფრინდი!“ — უყვირა საბჭოთა დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად წინა რიგებში მჯდომმა დავით ციმაკურიძემ. გახარებულმა მირიანმა მართლაც საკვირველი კამარა შეკრა და ასე ჩაუვარდა ხელეებში თანაგუნდელებს. მირიანის დაჭერა არ გაჭირვებიათ, სულ 52 კილოგრამს იწონიდა. ნირნამხდარ აკბასს კი დანა პირს არ უხსნიდა, პირდაპირ სახეზე ეწერა დიდი ტანჯვა. პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონის დავით ციმაკურიძის თქმით, მირიანი ხალიჩაზე შეუპოვარი და მოუხელთებელი





იყო. შეტევებისას ილეთს ბოლომდე თუ ვერ მიიყვანდა, უმაღლესი ილეთს წამოიწყებდა და მეტოქეს სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევდა. მასთან გამკლავება გამოცდილ ფალავნებსაც უჭირდათ. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ, მირიანი საზღვარგარეთაც გაიცნეს და აღიარეს, როგორც საერთაშორისო კლასის მოჭიდავე და უბადლო ტექნიკოსი. მელბურნის თამაშებზე მისმა გამოსვლამ უმაღლესი შეფასება დაიმსახურა.

მელბურნში ბრინჯაოს მედლის ამარა დარჩნენ თვით ჭიდაობის პროფესორი ვახტანგ ბალავაძე, ულონიერესი და უნიჭიერესი მოჭიდავე გოგი სხირტლაძე. კლასიკურ ჭიდაობაში გივი კარტოზიამ პირველი შეხვედრა წააგო შვედ იანსონთან, მაგრამ შემდეგ „გამძვინვარებული ვეფხვი“, როგორც მას უცხოეთში პრესა უწოდებდა, მართლაც გამძვინვარდა და მისი შეჩერება შეუძლებელი შეიქნა. ასევე არ შეიძლება არ აღინიშნოს რომან ძნელაძის რაინდული საქციელი მელბურნის ხალიჩაზე. ფინელმა მიაკინენმა 4 საჯარიმო ქულით დაასრულა ოლიმპიური ტურნირი — მოუგო კიდევ ერთ ფავორიტს, უნგრელ ლასლო პოიაკს და წააგო ძნელაძესთან. სულ ბოლო ორთაბრძოლა რომანსა და პოიაკს ჰქონდათ, სწორედ იმას, ოთხი წლის შემდეგ რომან რურუას ტოკიოს ოლიმპიადაზე გაქონილი რომ ეჭიდავა და ამ უპატიოსნო ხერხით მოიპოვა ოქროს მედალი. ჩანს, მისთვის უნაყოფო გამოდგა ძნელაძის ვაჟკაცობის მაგალითი: თუ ამ შეხვედრას ძნელაძე მოიგებდა, ოლიმპიური ჩემპიონი ხდებოდა, თუ ქულებით წააგებდა — სახლში მხოლოდ ბრინჯაოს მედალი უნდა წაეღო, ჩემპიონობა კი ფინელს უნდა ეზეიმა. ხოლო თუ რომანი წმინდად დამარცხდებოდა, იგი ვერცხლის ჯილდოს ჩაიგდებდა ხელში. შეხვედრის მიწურულს ცხადი გახდა, რომ ძნელაძე ქულებით დაწინაურებულ პოიაკს ვეღარ აჯობებდა, ამიტომ ყველა ელოდა, როდის წამოუნებოდა ქართველი უნგრელს, რომ სუფთად წაეგო და ბრინჯაოს ნაცვლად ვერცხლი აეღო. მაგრამ რომან ძნელაძემ ეს არ იკადრა, ბოლომდე ვაჟკაცურად იბრძოლა და სამშობლოში ბრინჯაოს მედალი წამოიღო... მელბურნში მოასპარეზე 10 ქართველიდან 8 მედლით დამშვენებული დაბრუნდა უკან.

ეს დასაბრუნებელი გზა კი მეტისმეტად გრძელი აღმოჩნდა. მირიან ცალქალამანიძემ, რომელსაც მანამდე ზღვა მხოლოდ ერთხელ ენახა, სხვებთან ერთად თბომავალ „გრუზიათი“ 20 დღე ოკეანეებითა და ზღვებით იმგზავრა ვლადივოსტოკამდე, იქიდან მოსკოვამდე მატარებლით კიდევ ათი დღე, სამი დღე კი თბილისში ჩამოსვლას დასჭირდა, სადაც მირიანმა თავისი დიდი სიხარული ახლობელ-მეგობრებსაც გაუზიარა..

### **პეტრეს ცირკი და ლევ კაპიტანოვი**

მირიან ცალქალამანიძეს ორჯერ მოუწია თბილისში გადმოსახლება. პირველად 1939 წელს, როცა 12 წლისა იყო. მაგრამ დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, მამამისი ფრონტზე გაგზავნეს და ოჯახი უკან, კონდოლოში დაბრუნდა. 1945 წელს კი, უკვე 18 წლისა, თავისიანებთან ერთად ისევ ჩამოვიდა თბილისში. მაშინ მოჭიდავის კარიერაზე საერთოდ არ იყო ლაპარაკი და არც ფიქრობდა ამაზე. მუშა-ახალგაზრდობის საღამოს სკოლაში სწავლობდა და 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში მუშაობდა ზეინკლად. სკოლის დამთავრების შემდეგ რადიომექანიკურ ტექნიკუმში გააგრძელა სწავლა. იქ ფიზკულტურისა და სპორტის კათედრას სათავეში ედგა ლევ კაპიტანოვი — ჭიდაობის სამყაროში მეტად დაფასებული, ავტორიტეტული პიროვნება. იმ პერიოდში მწვრთნელთა შესანიშნავი პლეადა გვყავდა: ვახტანგ კუხიანიძე, პეტრე იორდანიშვილი, გიორგი ვარძელაშვილი, ლევ ძეკონსკი, ლევ კაპიტანოვი, მიხეილ თიკანაძე...

მირიანი კაპიტანოვთან შემთხვევით მოხვდა. ამის შესახებ სხვადასხვა ამბავს ჰყვებიან, თავად მირიანი კი იხსენებს: „1951 წელი იყო. ამხანაგმა ანზორ კალანდაძემ წამიყვანა ფეხბურთის სათამაშოდ, მაგრამ მწვრთნელმა არ მათამაშა. განაწყენებულნი გავბრუნდით უკან. ამხანაგი მეუბნება, დღეს ჭიდაობაში მაქვს ვარჯიში და იქ წავიდეთო. წავედით პეტრეს ცირკს რომ ვეძახდით, იქა. მაშინ პირველად ვნახე ის დარბაზი.



მირიან ცალქალამანიძე  
მეუღლესთან ერთად

შევედი და ვილაცას ვეჭიდავე. ერთხელ წავაქციე, მეორედაც. მწვრთნელმა დამინახა და დაინტერესდა — რაშია საქმე, ამას ვინ აქცევსო. მერე ჩამკიდა ხელი და მკითხა, ვისთან ვარჯიშობო. მე ვუპასუხე არავისთან-მეთქი. ჰოდა დავინყე იმ დღიდან ვარჯიში.“

ის მწვრთნელი სწორედ ლევ კაპიტანოვი იყო, „პეტრეს ცირკი“ კი დღევანდელი პეტრე იორდანიშვილის სახელობის დარბაზია, სადაც არაერთი სახელოვანი მოჭიდავე აღიზარდა — ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონები. მირიანიც იქ დაოსტატდა. წარმოიდგინეთ, დარბაზში პირველად მისულ ჩია ბიჭს, მოჭიდავეები, აბა, როგორ შეხვდებოდნენ. ზოგმა კალანდაძეს თურმე, დაცინვაც კი დაუნყო, ეს რა გოლიათი მოგიყვანიაო, მაგრამ როცა მირიანი საქმეში გამოსცადეს, მერე კი შეიცვალეს აზრი. ცხადია, გამოცდილი და მრავლისმნახველი სპეციალისტი ლევ კაპიტანოვი მაშინვე მიხვდა, რომ ტალანტთან ჰქონდა საქმე და,

ასაკის მიუხედავად, დაუფიქრებლად ჩარიცხა თავის ჯგუფში. თუმცა, თავიდან არც სჯეროდა, რომ 24 წლის მირიანი ცხოვრებაში თავისუფალ ჭიდაობას არც გაკარებია. ცნობილი მოჭიდავე და არბიტრი ჯუმბერ დავლიანიძე, რომელიც ასევე კაპიტანოვთან ვარჯიშობდა და მირიანის მხარდამხარ მრავალ ტურნირზე უჭიდავია, ამბობს, რომ ლევ კაპიტანოვი იყო უაღრესად ინტელექტუალური, განათლებული ადამიანი, თანაც ძალიან უბრალო და მეგობრული მოჭიდავეების მიმართ. სიმართლეს არასოდეს უღალატებდა, შეუვალი და მომთხოვნი იყო როგორც საკუთარი თავის, ისე მონაფეების მიმართ, რომ მათი ნიჭი უკვალოდ არ დაკარგულიყო. ლევ კაპიტანოვი 1993 წელს გარდაიცვალა და მირიან ცალქალამანიძემ, იმ ძნელბედობის ჟამს, მხოლოდ დაკრძალვის შემდეგ გაიგო ეს სამწუხარო ამბავი, უკანასკნელ გზაზე ვერ გააცილა თავისი დამრიგებელი, რომელსაც უდიდეს პატივს სცემდა.

## გარბენი წყალზე

ჯუმბერ დავლიანიძე: „მირიანი ფიზიკურად ძალიან ძლიერი, მოუხელთებელი, ნამდვილი კერკეტი კაკალი იყო. ასეთი სწრაფი მოჭიდავე ცხოვრებაში არ მინახავს. წყალზე გაირბინა ერთხელ მოსკოვში, კრილატსკოეს არხში, სადაც ნავებით სეირნობდნენ საბჭოთა ნაკრების წევრები. მირიანმა ნიჩბით წყალი შეასხა ოთარ კანდელაკს, ის კი ადგა და საპასუხოდ ნავი ამოუტრიალა. რა ენაღვლებოდა, თვითონ შესანიშნავად ცურავდა, მირიანს კი ცურვა არ სცოდნია. ამიტომ, დახრჩობას რომ გადარჩენოდა, წყლიდან უცებ ამოხტა და მის ზედაპირზე საოცარი სისწრაფით შვიდი თუ რვა ნაბიჯი გაირბინა, მხოლოდ კოჭებამდე ჰქონდა ფეხები წყალში, ნაპირთან, თავთხელზე კი ჩაიძირა წელამდე.“

ამ საოცრების მომსწრენი ბევრნი იყვნენ: სახელოვანი არამ იალტირიანი, ნაკრების მწვრთნელი, ცნობილი სპეციალისტი სერგეი პრეობრაჟენსკი, ვახტანგ ბალავაძე, ზორის კულაევი, სერგეი ძარასოვი...

ჯუმბერ დავლიანიძის თქმით, მირიანი ძალიან მშვიდი და წყნარი ბიჭი ყოფილა, მაგრამ იშვიათად აფეთქებაც სჩვეოდა. ამ დროს მას თვით მძიმეწონოსან მოჭიდავეებზეც შეეძლო მუშტებით განწევა. „საკუთარი, გამორჩეული სტილი ჰქონდა, ეს დიდი მოჭიდავეების თვისებაა, ურომლისოდაც დიდი ვერ გახდები. ვახტანგ ბალავაძეს, გოგი სხირტლაძეს, უფრო გვიან ლევან თედიაშვილს, დავით გობეჯიშვილს და საერთოდ, ასეთ ჩემპიონებს თავისი, განსაკუთრებული სტილი ჰქონდათ“, — ამბობს ბატონი ჯუმბერი.

პარტერში ჭიდაობა, უკვე ვთქვი, მირიანმა მწვრთნელისა და თანაგუნდელების დახმარებით აითვისა და თავისუფალი ჭიდაობის ამ უმნიშვნელოვანეს კომპონენტში ბევრს არაფერს უთმობდა მეტოქეებს. ჯუმბერ დავლიანიძემ გაიხსენა ეპიზოდი, როცა დიდუბეში, რადიოქარხანაში მუშაობის პერიოდში მისი თანამშრომლები, ასევე ყოფილი მოჭიდავეები, თანაც გაცილებით მძიმე წონისა, რალაცაზე ცუდად გაეხუმრნენ მირიანს. გაბრაზებულმა ჩემპიონმა ნიძლავი დაუდო — დაბლა, ჩოქბჯენში დავდგები და აბა ვნახოთ, ვინ გადამატრიალებსო. ამხელა ხალხმა ძვრაც ვერ უყო ჩია მირიანს. ერთხელაც, საბჭოთა ნაკრებში ყოფნისას, როცა ბალატონის ტბაზე იმყოფებოდნენ, მირიანს ოლიმპიური ჩემპიონი, ძალოსანი ფიოდორ ბოგდანოვსკი გაეხუმრა — სადაური ოლიმპიური ჩემპიონი შენა ხარ, ცალი ხელით გაგაბრტყელებო. 52 კილოგრამი წონის კაცი 80-კილოგრამიან ბოგდანოვსკისაც დაენიძლავა: დავეჭიდოთ ერთმანეთს და სამ ცდაზე თუ ერთი სანტიმეტრით მომწყვეტ მინას, მოგებული შენ იქნებიო.

ბოგდანოვსკიმ ბევრი ოფლი ღვარა, მაგრამ ვერაფერს გახდა. მირიანმა ჭიდაობის ილეთი გამოიყენა — ფეხი ჩაახვია, ხელები კი მაგრად შემოსალტა. თან მეტოქეს აქეზებდა — მიდი, მიდი, ამნიეო. სამჯერ მოუხმო მთელ თავის ძალ-ღონეს ბოგდანოვსკიმ, მაგრამ მირიანს ძვრაც ვერ უყო. იდგა შემდეგ ანითლებული და შერცხვენილი. ისევ მირიანმა უშველა — მარჯვენა ხელი გამოშალეო, მერე მის ხელისგულზე დაჯდა და ზორბა ძალოსანმა იგი ასე, ცალი ხელით, ძალდაუტანებლად ასწია მაღლა.



მირიან ცალქელამანიძე,  
ვახტანგ ბალაფაძე,  
ანტონიო როკა (კეტჩისტო),  
კოლია ქვარიანი,  
ოთარ კანდელაკი და  
გიორგი სხირტლაძე.  
ნიუ-იორკი, 1958 წელი





მირიან ცალქელამანიძე  
მეგობარ ფალავნებთან  
ერთად



მირიან ცალქალამანიძის სტიქია დგომში ჭიდაობა იყო, თუმცა თვითონვე უთქვამს, რომ მაშინ გამარჯვებულის ვინაობა უფრო პარტერში წყდებოდა. მაგალითად, ქვემძიმე ნონის გოგი სხირტლაძეს, ჩოქბჯენში ნებისმიერი მოჭიდავის გადატრიალება შეეძლო, არსენ მეკოკიშვილის გარდა. „ჩოქბჯენში ისე ვეჯექი არსენას ზემოდან, როგორც ბუზი ხარს“, — ამბობდა მოგვიანებით სხირტლაძე...

მირიანს ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ ისევ ქარხანაში მოუწია მუშაობის გაგრძელება. საერთოდ, შრომა და სწავლა ბავშვობიდანვე გახდა მისი ცხოვრების ნაწილი. ვიდრე რადოტექნიკურ ტექნიკუმს მიაკითხავდა, ჯერ პროფტექნიკური სასწავლებელი დაამთავრა, პროფესია აითვისა და ქარხანაში თავის სპეციალობით მუშაობდა. მაგრამ ექვსდღიანი შრომითი კვირადღე მირიანს ვარჯიშის საშუალებას არ აძლევდა. კაპიტანოვმა ქარხნის დირექტორს მიაკითხა და მირიანის კვირაში სამჯერ გათავისუფლება სთხოვა. დირექტორიც გულისხმიერი კაცი აღმოჩნდა, საამქროს უფროსი დაიბარა და უთხრა, კვირაში სამჯერ, სამი საათიდან, მირიან ცალქალამანიძე აღარ დავინახო სამუშაოზე, სავარჯიშოდ გაუშვიო.

მოგვიანებით ოლიმპიური ჩემპიონი იხსენებდა: „იმ წლებში ყველაზე ღარიბი, უჩინარი სპორტსაზოგადოება იყო „შრომითი რეზერვები“, რომლის წევრიც მე ვიყავი. ნებისმიერ შეჯიბრებაზე ჭარბობდნენ დინამოელები, მრავლად იყვნენ სპარტაკელები და არმიელები. „ბურევესტნიკიც“ ძლიერ ორგანიზაციად ითვლებოდა. როგორც წესი, შეჯიბრებებზე ჩვენი საზოგადოებიდან არც ერთი მსაჯი არ ერია. თანაკლებელი მოჭიდავეები ერთმანეთს, ასე თუ ისე, ეხმარებოდნენ, მე კი არავის იმედი არ უნდა მქონოდა. ზოგჯერ „კეთილის მსურველებსაც“ გადავეყრებოდი ხოლმე — მეუბნებოდნენ, გადმოდი ჩვენთან, შეელიე შენს კაპიტანოვს, ჩაგამჟავებს, ჩვენი საზოგადოება კი უფრო მდიდარიაო. მაგრამ ვერაფერს გახდნენ — ჭიდაობა „შრომით რეზერვებში“ დავიწყე და იქვე დავამთავრე. მასწავლებელიც მხოლოდ ერთი მყავდა — საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ლევ კაპიტანოვი“.

კაპიტანოვი მოტოციკლით გაუვლიდა ხოლმე მირიანს და თვითონ მიჰყავდა ვარჯიშზე. მირიანი საოცარ რეაქციას ამჟღავნებდა და ხალიჩაზე დაუღლები იყო, თუმცა 1988 წელს გაზეთ „თბილისისთვის“ მიცემულ ინტერვიუში თავისი პატარ-პატარა ცოდვებიც გაიხსენა.

„უსაზღვროდ მადლობელი ვარ კაპიტანოვის. მთელი თავისი გამოცდილება, სული და გული ჩააქსოვა ჩემს წვრთნაში. კარგად იცოდა, ვის რა სჭირდებოდა, ჭკვიანი კაცი იყო... მე და ვახტანგ ბალავაძე ფიზიკურად კარგად ვიყავით მომზადებულები, გამძლეობაც არ გვაკლდა. ამიტომ სანაკრებო შეკრებაზე სხვებს რომ ათ კილომეტრს არბენინებდა, ჩვენ გვეტყოდა, — ხუთიც გეყოფათო. ისე, ცოდვა გამხელილი ჯობს და ჩვენ არც იმ ხუთს დავრბოდით, დავიმალეოდით სადმე ბუჩქებში და შემდეგ ქოშინ-ქოშინით ვბრუნდებოდით უკან, ვითომ ბევრი ვირბინეთ და ძალიან დავიღალეთ. არ შეიძლება ყველა ერთი სისტემით ავარჯიშო. ზოგს სუსტი ფეხები აქვს, ზოგს გამძლეობა აკლია, ზოგსაც — ტექნიკა. ერთისთვის ბევრი სირბილია საჭირო, მეორემ ხალიჩაზე უნდა ივარჯიშოს და ტექნიკა დახვეწოს. ტაქტიკასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. კაპიტანოვი მუდამ გვარიგებდა: თუ მონინალმდევე ფიზიკურად ძლიერია, ეშმაკობა უნდა იხმარო, ტექნიკურად აჯობო. თუ სუსტია, პირიქით, ძალა და ფიზიკური მონაცემები უნდა გამოიყენო. არასდროს გვავარჯიშებდა იმაზე მეტს, რისი ატანაც შეგვეძლო“.

მირიანი ზედმეტ წონასაც საკუთარი მეთოდით იკლებდა. მლაშე საჭმელს ჭამდა და მერე ვაჟკაცურად იტანდა წარმოუდგენელ წყურვილს. ეს საკუთარ თავზეც გამოიცივდა და კარგად ვიცო, რაც არის. მოჭიდავეს კი შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე უხდება ამის გაკეთება და ბევრი, ვინც უფრო მძიმე წონაში ფეხი ვერ მოიკიდა, ამ პრობლემის გამო, სპორტს საერთოდ ჩამოსცილდა. დაუმარცხებელი არსენ ფაძაევი, როცა მან 68 კგ-დან 74-ში გადაინაცვლა, სულ სხვა გარემოცვაში მოხვდა და ლეგენდარული ფალავანი მეტოქეებმა მსოფლიო ჩემპიონატზე მესამე ადგილზე „გაისტუმრეს“. აკბასმაძე, ბოლოს და ბოლოს, ვერ გაუძლო მუდმივად წონის დაკლებას და ზედა წონაში აინაცვლა, მირიანს ჩამოსცილდა. ეს იყო 1957 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, ისევ სტამბოლში...



ზაურ შეყილაძე,  
მირიან ცალქალამანიძე  
და გივი კარტოზია

## შეხვედრა ზღვასთან

1951 წელს, თავისუფალი ჭიდაობის ახალბედამ, მირიან ცალქალამანიძემ, თბილისის ჩემპიონატი მოიგო 24 წლის ასაკში. მისი მეგობარი და თანაგუნდელი ჯუმბერ დავლიანიძეც მაშინ გახდა დედაქალაქის ჩემპიონი, ოღონდ დავლიანიძე მეთექვსმეტეული იყო. „დაგვიანებულ“ ჩემპიონს ამ გამარჯვებამ ჭიდაობისადმი ინტერესი გაუღვივა, მაგრამ როგორც თავად ამბობდა, თბილისის ჩემპიონატი შემთხვევის წყალობით მოიგო: „ქალაქის ჩემპიონი შემთხვევით გავხდი. იქ ჩემზე მაგარი ბიჭები ჭიდაობდნენ. ერთი წლის შემდეგ სოხუმში ჩატარდა საქართველოს პირველობა. მე კავ-

თისხევს გაცილებული არ ვიყავი. ჩემი ოცნება იყო დამენახა ზღვა. ჩავედით, ზღვაც ვნახეთ, ვიბანავით კიდეც. მერე ვიჭიდავე და საქართველოს ჩემპიონატზე მეორე ადგილი დავიკავე.“ ჯუმბერ დავლიანიძე იხსენებს, რომ მირიანს მატარებელში მთელი ღამე არ ეძინა, იჯდა და უცდიდა, როდის გამოჩნდებოდა ზღვა. გზადაგზა ჭიდაობის ტაქტიკის გაკვეთილებსაც იღებდა გამოცდილ მოჭიდავე აგაროვისგან. სოხუმში იმ აგაროვსაც მოუგო ნახევარფინალში, მაგრამ გადამწყვეტ შეხვედრაში მამაჯანოვთან დამარცხდა. იმ დროს მირიანი ერთი წლის ნავარჯიშევიც არ იყო.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მირიანი ჯერ თითო ნაბიჯით მიიწევდა წინ, მერე კი დიდი ნახტომი გააკეთა. 1951 წელს მეექვსე იყო, მომდევნო წელს — მესხუთე, 1953 წელს კი, თბილისში, მეოთხე ადგილი დაიკავა. იმ დროს უკვე შესამჩნევი იყო მირიან ცალქალამანიძის მზარდი ოსტატობა — ყველა ფავორიტს მედგრად ეჭიდავა, მაგრამ შედარებით სუსტ მკრტიჩიანთან დამარცხდა...

1954 წლის საკავშირო ჩემპიონატს ლენინგრადმა უმასპინძლა. ცალქალამანიძემ, უკვე მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა, პირველად იქ გაიმარჯვა ქვეყნის პირველობაზე. მირიანი წინასწარ შეხვედრაში გიორგი საიადოვთან დამარცხდა, მაგრამ ბაქოელმა, თავის მხრივ, შემდეგ იგორ კარავაევთან ნააგო და ჩვენი ფალავანი მაშინ პირველად აღმოჩნდა მსგავს სიტუაციაში, როგორც ორი წლის შემდეგ, მელბურნში. კერძოდ, თუ ჩვენი მოჭიდავე მინსკელ კარავაევს ქულებით დაამარცხებდა, ჩემპიონი საიადოვი ხდებოდა, თუ სუფთად — ოქროს მედალს თავად მიიღებდა. შეჯიბრების წინ გიორგი საიადოვმა „მეგობრულად“ დაარიგა მირიანი, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო ხალიჩაზე. ცხადია, მისი შეგონების დედააზრი ის იყო, რომ მირიანს მხოლოდ ქულებით მოეგო. დაიწყო შერკინება და მირიანმა ელვის სისწრაფით ჩაახვია მარჯვენა ფეხი და შუაკაურით მეტოქე ხიდურზე გადაიყვანა. საიადოვი დასაბმელი გახდა, ახლა კარავაევს მოუწოდებდა ხმამაღლა, — გაექეცი, გაექეციო. მაგრამ მირიან ცალქალამანიძეს მაგრად ეჭირა მეტოქე, მისი ხიდურიც მალე „ჩატეხა“ და როგორც ვთქვი, პირველად გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი

(იმ შეჯიბრებაზე მართლაც „ოქროს წვიმა“ ჰქონდათ ჩვენს ფალანგებს. მირიანის გარდა ჩემპიონები გახდნენ ზაურ მჭედლიშვილი, ვლადიმერ არსენიანი, ვახტანგ ბალავაძე და გიორგი სხირტლაძე). ლენინგრადში მოპოვებული ჩემპიონობა მირიანისთვის პირველი ტიტული იყო დიდ სარბივლზე. საკავშირო ნაკრებშიც უკვე მანამდე მყარად დაიმკვიდრა ადგილი.

## პედაგოგი

1954 წელი განსაკუთრებული იყო: საბჭოთა თავისუფალი სტილის მოჭიდავეებს პირველად უნდა ეცადათ ძალები მსოფლიო ჩემპიონატში, ტოკიოში (ეს ჯერ კიდევ საკავშირო ჩემპიონატამდე მოხდა), ამიტომ ნაკრების ხელმძღვანელობამ თადარიგი დაიჭირა და ღირსეულ სპარინგ-პარტნიორთან გადაწყვიტა საკუთარი მოჭიდავეების შემოწმება. არჩევანი შვედებზე შეაჩერეს, რომლებიც თამამად ერკინებოდნენ მსოფლიოს უძლიერეს ფალანგებს და თვითონაც ჰყავდათ აღიარებული ჩემპიონები (მაგალითად, სააკ გრენბერგი, რომელიც ჭიდაობის ორივე სახეობაში გამოდიოდა, 1947-დან 1953 წლამდე ერთი მარცხიც არ ეწვნია, ვიდრე ამ წლის მსოფლიო ჩემპიონატზე გივი კარტოზიას არ გადაეყარა). შვედებთან „გენერალური რეპეტიცია“ ორი საბჭოთა გუნდის მონაწილეობით გაიმართა. სტოკჰოლმში ჯერ ქვეყნის პირველი ნაკრები ჩავიდა: იგორ კარავაევი, ვარლამ გიგიაძე, იბრაჰიმ დადაშევი, ედუარდ რუნგე, ვახტანგ ბალავაძე, გივი კარტოზია, ოთარ კანდელაკი, არსენ მეკოკიშვილი. როგორც ხედავთ, სახელოვანი კლასიკოსი გივი კარტოზია თავისუფალ ჭიდაობაში ცდიდა ძალას და წარმატებითაც. ასეთი გუნდის დანახვაზე შვედებს, ეტყობა, აღარ ჰქონდათ გამარჯვების იმედი, ამიტომ უფრო მეტად იმას კითხულობდნენ, სსრ კავშირის მეორე ნაკრები როდის ჩამოვაო. მაგრამ ვაის გავეყარე, ვუის შევეყარეო, სწორედ ასე დაემართათ. აი, ის მეორე ნაკრები: მირიან ცალქალამანიძე, შოთა მაისურაძე, იური დენიკოვი, სერგო გაბარაევი, მუხტარ დადაშევი, გოგი სხირტლაძე, ბორის კულაევი,



იონას კოტკასი. წარმოიდგინეთ, მაშინ საბჭოთა კავშირის ორივე ნაკრების 16 წევრიდან უმრავლესობა — 9 მოჭიდავე საქართველოდან იყო. საბჭოელებს შვედებთან სულ 10 შეხვედრა უნდა გაემართათ.

პირველმა ნაკრებმა 18 იანვარს მასპინძლებს 8:2 მოუგო. რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, დამარცხდნენ ბალავაძე და კარტოზია. პირველი — ოლიმპიადის პრიზიორ პერ ბერლინთან, კარტოზია — ოლიმპიურ და მსოფლიო ჩემპიონ სააკ გრენბერგთან. მეორე ნაკრებმა უფრო იყოჩაღა და შვედებს უკეთესი ანგარიშით (9:1) დააყრევინა ფარ-ხმალი. ორივე საბჭოთა ნაკრებმა სხვა მატჩებიც მაღალ დონეზე ჩაატარა და მასპინძლებს, საერთო ჯამში, 64:8 მოუგო. კარტოზიამაც და ბალავაძემაც დამაჯერებელი რევანში აიღეს, მირიანმა კი შვედეთში თვალნათლივ დაუმტკიცა ნაკრების ხელმძღვანელობას, რომ უძლიერესი იყო.

იანვრის მიწურულს, საზეიმო ბანკეტზე, რომელშიც შვედეთი-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის საზოგადოებაც მონაწილეობდა, მასპინძლების თხოვნით ქართველებმა „თავი აიშვეს“: გოგი სხირტლადისა და ანზორ მაისურაძის ლოტბარობით „სულიკო“, „მრავალჟამიერი“ და „გაფრინდი შავო მერცხალო“ შეასრულეს. იბრაჰიმ დადაშევმა კინტაური დაუკრა და ვახტანგ ბალავაძემ ჩამოუარა, ხოლო კავკასიელმა ძმებმა დადაშევებმა შესანიშნავად წარმოადგინეს ქართული ცეკვა. მსოფლიო ჩემპიონმა ვოლე ანდერბერგმა ლაზათიანი ვახტანგურიც შესვა ცხინვალელ სერგო გაბარაევთან, ვისთანაც ორჯერ სასტიკად დამარცხდა.

მოკლედ, საბჭოთა ნაკრების შემადგენლობა საბოლოოდ დადგინდა შვედეთში გამართული შეხვედრების შემდეგ და ტოკიოში იმედიანად გაემგზავრნენ მწვრთნელებთან და ხელმძღვანელებთან ერთად: 52კგ — მირიან ცალქალამანიძე, 57 — მიხეილ შახოვი, 62 — ნიკოლოზ მუზაშვილი, 67 — სერგო გაბარაევი, 73 — ვახტანგ ბალავაძე, 79 — გივი კარტოზია, 87 — ავეუსტ ენგლასი; მძიმე წონა — არსენ მეკოკიშვილი. ქვემძიმე და მძიმე წონაშიც სათადარიგო ოთარ კანდელაკი იყო. კარტოზიამ ტოკიოში გამგზავრების უფლების მოსაპოვებლად აჯობა თავისუფალი ჭიდაობის აღიარებულ ოსტატებს — ოლიმპიურ ჩემპიონ დავით ციმაკურიძეს და რუს სერგეი პრეობრაჟენსკის.

1954 წლის მსოფლიო  
ჩემპიონატზე სსრ კაეშირის  
მ-კაციან გუნდში  
7 ქართველი მოჭიდავე იყო.  
მარცხნიდან —  
მირიან ცალქალამანიძე,  
ვარლამ გიგიაძე,  
ნიკოლოზ მუზაშვილი,  
სერგო გაბარაევი,  
ვახტანგ ბალაფაძე,  
გივი კარტოზია,  
ესტონელი ავგუსტ კოტკასი  
და არსენ მეოკიშვილი.  
ტოკიო, 1954 წელი





## მსოფლიო დეპიუტი

ტოკიომდე გზა ერთობ მომქანცველი გამოდგა: გეტებორგიდან შვედეთის დედაქალაქში ჩასულები, ჯერ კოპენჰაგენში და ჰამბურგში ჩაფრინდნენ, შემდეგ ციურხში, იქიდან რომში, იტალიიდან კი — პაკისტანის დედაქალაქ ყარაჩში. იქ საშინელი სიცხე დახვდათ და თვითმფრინავიდან კოსტიუმებით გადმოსული საბჭოთა მოჭიდავეების დანახვაზე, მოსაცდელ დარბაზში შეკრებილი მგზავრები სიცილს ვერ იკავებდნენ. ყარაჩალიდან კალკუტაში გაფრინდნენ, შემდეგ ბანგკოკში და ბოლოს, ტოკიოს ნახვაც ელირსათ ამ მომქანცველი მგზავრობის შემდეგ.

„ცალქალამანიძე ჯერ კიდევ უცნობია საბჭოთა კავშირში, იგი თავისი ქვეყნის ჩემპიონიც არ ყოფილა და საექვოა, საშიში იყოს მისი გამოსვლა იაპონელ კიტანოსთვის“, — წერდნენ იაპონური გაზეთები, რომლებსაც ფავორიტებად თურქები, იაპონელები და ამერიკელები მიაჩნდათ, საბჭოთა გუნდში კი მხოლოდ კარტოზიას, ენგლასსა და მეკოკიშვილს გამოჰყოფდნენ და იმათაც ბრინჯაოს მედლების ღირსად თუ თვლიდნენ. ყველაზე რიხიანი განცხადება ამერიკელებმა გააკეთეს და პირველობისთვის მზადყოფნა გამოთქვეს. ტოკიოში სულ 12 ქვეყნის 99-მა მოჭიდავემ მოიყარა თავი.

მასპინძელი კიტანო მირიანს წილისყრით პირველ შეხვედრაში ერგო. შერკინება ქართველი მოჭიდავის უპირატესობით დაიწყო, მაგრამ საბოლოოდ მსაჯმა კიტანოს აუწია ხელი. მირიანს ისევ რჩებოდა შანსი — ჯერ ამერიკელ დელგადოს მოუგო, შემდეგ — ოლიმპიური თამაშების პრიზიორს, ირანელ მოლანბიეს. დარჩა ბოლო ბრძოლა — 1954 წლის 22 მაისს მირიან ცალქალამანიძე ტოკიოს ხალიჩაზე პირველად დაუპირისპირდა თავის მრისხანე მეტოქეს, თურქ ჰუსეინ აკბასს, თანაც ფინალურ ეტაპზე.


მირიანმა აქტიურად დაიწყო და 6:2-ს უგებდა თურქს, მაგრამ დიდი მცდელობის მიუხედავად, ბეჭებზე ვერაფრით გააკრა. მერე უცებ ნახევარხიდურზე მოჰყვა და მსაჯმაც, არც აცია და არც აცხელა, მაშინვე აკბასს მიაკუთვნა წმინდა გამარჯვება. საბჭოთა გუნდის უფროსი მწვრთნე-

ლი ვლადიმერ კრუტკოვსკი სამსაჯო მაგიდას მივარდა, მაგრამ პროტესტი უარყოფილ-იქნა. კრუტკოვსკის თავგამოდება გასაგებია, — მირიანს ფინალური შეხვედრა რომ მოეგო, სსრ კავშირის ნაკრები გუნდურ პირველობაში იმარჯვებდა. საბოლოოდ, მირიან ცალქალამანიძეს მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი ერგო. მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ ვახტანგ ბალავაძე, არსენ მეკოკიშვილი და ავგუსტ ენგლასი. ჭიდაობის პროფესორად შერაცხული ვახტანგ ბალავაძე მართლაც პროფესორის აკადემიზმით გაუსწორდა ყველა მეტოქეს. რაც შეეხება გივი კარტოზიას, მან თუმცა დაამარცხა ირანელი ზანდი და შვედი გრენბერგი, მაგრამ შემდეგ შეუძლოდ შეიქნა და ოქროს მედალი თურქ ისმეთ ათლისთან ჭიდაობაში დაკარგა — მხოლოდ მეოთხე ადგილზე გავიდა...

## თურქული ბარა-ბარა

მირიან ცალქალამანიძეს ტოკიოს მარცხის სიმწარე, თუკი მარცხად ჩაითვლება ის, რაც იაპონიის დედაქალაქში შეემთხვა, ოლიმპიადის შემდეგ, 1957 წელს სტამბოლის მსოფლიო ჩემპიონატზე უნდა გაენელებინა. ამ დროს უკვე 30 წელს იყო მიტანებული, მსოფლიო ჩემპიონატები კი მაშინ სამ წელიწადში ერთხელ ტარდებოდა. მირიანი უკვე ოლიმპიური ჩემპიონი გახლდათ და თვითონაც კარგად იცოდა, რომ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის გარეშე სპორტიდან წასვლა არ ივარგებდა. მით უმეტეს, ტოკიოში, მსოფლიო ჩემპიონობა პირდაპირ ხელიდან გაუფრინდა. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ „მეთხატ ფაშას“ ნაცნობ არენაზე მირიანის საქმე უფრო კარგად უნდა წარმართულიყო, ვიდრე ერთი წლის წინ, მსოფლიო თასის გათამაშების დროს. ჰუსეინ აკბასს ვედარ გაეძლო იმ ოფლისმღვრელი, საშინელი პროცედურისთვის, რომელსაც ყოველი შეჯიბრების წინ მიმართავდა წონის დასაკლებად და მირიანის მეტოქეთა რიცხვს გამოკლებოდა, ანუ ზედა, მჩატე წონაში გადასულიყო. ახალგაზრდა ქართალი კი, რომელიც აკბასის ნაცვლად გამოიყვანეს შეჯიბრების









მასპინძლებმა უმჩატეს წონაში, ჯერ კიდევ უცნობი იყო საბჭოთა გუნდის მწვრთნელებისთვის. თუმცა, თურქებს თავიდანვე ძალიან ეიმედებოდათ მისი, ან კიდევ ნაადრევად უწევდნენ რეკლამას... ყოველი შემთხვევისთვის. ასეთი „შემთხვევა“ კი, სამწუხაროდ, მართლაც მოხდა.

თურქული პრესა უმჩატეს წონაში ფავორიტებად სამ მოჭიდავეს სახავდა: იაპონელ იოსიდას, ოლიმპიურ ჩემპიონ ცალქალამანიძესა და, ცხადია, თანამემამულე ქართალს. მასპინძლები გასული წლის ტრიუმფის გამეორებას გეგმავდნენ „მეთხატ ფაშას“ სარბიელზე და წინასწარ იბევედნენ 6 თუ 7 ოქროს მედალს.

პირველ წრეში მირიანმა იოლადა სძლია ბულგარელ ჯენდოვს, ისევე როგორც ქართალმა — პოლონელ კლეინს. ფავორიტებიდან განზილებული დარჩა მხოლოდ იოსიდა, რომელმაც შვეიცარიელ ლოხერთან წააგო. მაგრამ შემდეგ ისე გაცეცხლდა, რომ თვით თურქი ფავორიტი „შემოელახა“ და მას იმდენად დამაჯერებლად მოუგო, მსაჯებს იოტისოდენა საბაბიც არ მისცა. მირიანს კი ლამის ნაადრევი ფინალის ჭიდაობა მოუხდა. საქმე ის იყო, რომ ჩემპიონატის სტარტზე დამაჯერებელი ჭიდაობით ყველას ყურადღება მიიპყრო იტალიელმა დიამანტიმ, რომელმაც პირველ წრეში უნუგეშოდ დატოვა ირანელი ჰასანი. იმხანად იტალიის გუნდს წარსულში სახელოვანი თურქი მოჭიდავე ნური ედგა სათავეში და აპენინელთა ნაკრებიც თურქ ქომაგთა ფავორიტი იყო, ცხადია, საკუთარი გუნდის შემდეგ. ქართველ მოჭიდავეს ბევრი წვალება არ დასჭირვებია — დიამანტის თვალნათლივ დაუმტკიცა თავისი კლასი და თუმცა წმინდად ვერ მოუგო, ქულათა სოლიდური მარაგით გაუსწრო მას.

სულ ბოლოს, ოქროს მედლისთვის ბრძოლა მირიან ცალქალამანიძეს ისევ ქართალთან მოუწია. იოსიდა უკვე თამაშგარეთ იყო, რადგან თურქს წმინდად ვერ აჯობა და მე-6 საჯარიმო ქულა, ანუ „წითელი ბარათი“ დაიმსახურა. მისი გამოთიშვით, ყველაზე უფრო, რასაკვირველია, თურქმა იხეირა — მას საჯარიმო ქულები მოეხსნა და „გასუფთავებული“ გავიდა ქართველთან საჭიდაოდ. მირიანს ერთი საჯარიმო ჰქონდა „აკიდებული“, დიამანტს — სამი.

*მირიან ცალქალამანიძე:  
„არსენ მეკოკიშვილი სამაგალითო სპორტსმენი და მეგობარი იყო. მეტყობა ხოლმე — აბა, შენ იცი, თუ მოიგებ, მეც მოვიგებ, მთელი საქართველო ჩვენი წარმატების მოლოდინშიაო. ავსტრალიაში რომ წაყვანათ, ისეთ ფორმაში იყო, უთუოდ მეორედ გახდებოდა ოლიმპიური ჩემპიონი. მაინც რა ბიჭები გყავდა, დედამინის ერთი მეექვსედის ნაკრებში უმეტესობა ქართველები ვიყავით, ყველგან პატივს გცემდნენ და ანგარიშს გვინევდნენ.“*

აღბათ იოლად წარმოიდგენთ, რა ხდებოდა „მეთხატ ფაშას“ სტადიონზე ქართალისა და ცალქალამანიძის ჭიდაობის დროს. ყველაფერი მირიანის წინააღმდეგ იყო — მობობოქრე დარბაზი, მსაჯები, გაგულისებული მეტოქე, რომელსაც ირანელი არბიტრი „რალაც-რალაცებს“ პატიობდა. ნულოვანი პირველი ნახევრის შემდეგ, ოლიმპიურმა ჩემპიონმა მთელი დარბაზი გააჩუმა — ჩოქბჯენში მყოფმა, თურქის მცდელობას შესანიშნავი კონტრილეთით უპასუხა, რომლის წინაშე, ქართალთან ერთად, მსაჯიც უძლური იყო და მირიანი ორი ქულით დანინაურდა. მერე მეტოქეებმა თითო ქულა გაცვალეს და ყველაფერი თითქოს დამთავრდა — ირანელმა არბიტრმა ქართველ ფალავანს ისე აანევინა ხელი გამარჯვების ნიშნად, აშკარად ჩანდა, როგორ ეძნელებოდა ამის გაკეთება. მთელი საბჭოთა დელეგაცია მირიანს ეცა და ჰაერში ააბურთავეს, როგორც ახალი მსოფლიო ჩემპიონი.

მაგრამ ჯერ სად ხართ. ორიოდე საათის შემდეგ მირიანი გამწარებული შერბის საბჭოთა დელეგაციის წევრებთან და ამბობს: ახლახან დარბაზში გამოაცხადეს, ქართალი — ცალქალამანიძე, ბარა-ბარაო. როგორც შემდეგ გაირკვა, რომ თურქეთის ნაკრებს ფინალის შედეგი გაუპროტესტებია, მსაჯთა კოლეგია კი ამ პროტესტს „გულისხმიერებით“ მოკიდებია. მოკლედ, ფრე გამოაცხადეს და მირიანს, ისევ თურქის გამო, მეორედ დააკარგვინეს მსოფლიო ჩემპიონობა. მაგრამ რჩებოდა კიდევ ხავსი ხელის ჩასაჭიდებლად — დარჩენილ ერთადერთ შეხვედრაში ქართალს წმინდად უნდა მოეგო დიამანტისთვის, ურომლისოდაც თურქეთის ნაკრების ხელმძღვანელობას მთელი ეს ჩალიჩი წყალში ჩაეყრებოდა და ცალქალამანიძე კუთვნილ ოქროს მიიღებდა. მაგრამ, დიდი ფაფხურისა და ყასიდის აქტიურობის შემდეგ, დიამანტი, მართლაც ძლიერი მოჭიდავე, შეხვედრის მიწურულს თავისი თურქი მწვრთნელის ნიშანზე ისე ნაზად წამოუწვა ქართალს, რომ... შესადარებლადაც არ ღირს. ასე „ღირსეულად“ მოიპოვა ხალიჩის მასპინძელმა მსოფლიო ჩემპიონობა, მირიანმა კი მხოლოდ ვერცხლის მედალი მიიღო. მისმა მრისხანე და ყოფილმა მეტოქემ, აკბასმა ზედა ნონაშიც დაამტკიცა თავისი ძლიერება. რაც შეეხება ქართალს, მან

მოგვიანებით ლამის აღიარა მისი გაჩემპიონების უსამართლობა, თუმცა ამით არაფერი შეცვლილა: ოლიმპიური ჩემპიონი მირიან ცალქალამანიძე ისე წავიდა დიდი სპორტიდან, მსოფლიო ჩემპიონი ვერ გახდა, არადა, ორჯერ ჰქონდა ამის რეალური შანსი.

მირიანის ჯავრი ამოიყარა ვახტანგ ბალავაძემ: დიდების გზაზე დამდგარმა თურქმა ოგანმა, მხარდამჭერთა ენით აუნერულ ღრიალში, ჩხუბითა და კრივით, მაინც ვერ მოუგო „ჭიდაობის პროფესორს“. სხვა მეტოქეებთან კი ვახტანგ ბალავაძეს არ გასჭირვებია და მეორედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი. გაიმარჯვა აგრეთვე ცხინვალელმა ოლიმპიკ ბესთაევმაც, გოგი სხირტლაძე კი მეორე ადგილზე გავიდა. გუნდურ პირველობაში თურქებმა დაგეგმილზე ორით ნაკლები ოქროს მედალი მიითვალეს — სულ ოთხი, მაგრამ საერთო ჩათვლაში 7 ქულით გაუსწრეს მეორე ადგილზე გასულ საბჭოთა ნაკრებს.

სხვათა შორის, სტამბოლის მსოფლიო ჩემპიონატი ახალი წესებით ჩატარდა — შერკინება ადრინდელი 15 წუთის ნაცვლად 12 წუთს გრძელდებოდა. ფორმულა ასეთი იყო: პირველი 6 წუთი მეტოქეები დგომში იბრძოდნენ, მომდევნო 4 წუთი — პარტერში 2-2-წუთიანი მონაცვლეობით, ბოლო 2 წუთი კი ისევ დგომში ჭიდაობდნენ.

## შესველრა ირანის შაჰთან

ხშირად მოგისმენიათ და წაგიკითხავთ ტრაფარეტული ფრაზა — მეტეორივით გაიელვა დიდ სარბიელზეო, რითაც მოულოდნელ და მყისიერ გამარჯვებებს აღნიშნავენ. თუ ვინმეზე მსგავსი რამ შეიძლება ითქვას, პირველ რიგში, მირიან ცალქალამანიძეზე ითქმის. სადაც კი იჭიდავა, თითქმის ყველგან მედალი აიღო, მაგრამ მირიანის შესაძლებლობებთან შედარებით, ეს მაინც ცოტა იყო. ამას ორი მიზეზი ჰქონდა: ჯერ ერთი, თავისუფალ ჭიდაობაში ძალზე გვიან მოვიდა. მეორეც — იმ პერიოდში საერთაშორისო ასპარეზობათა კალენდარი ერთობ მეჩხერი იყო. ამიტომაც,

იმდროინდელ მოჭიდავეთათვის ამხანაგურ საერთაშორისო შეხვედრებში მონაწილეობაც დიდ ამბად ითვლებოდა. მით უმეტეს, ასეთი მატჩები განსაკუთრებულ პირობებში ტარდებოდა — ნამდვილი ჩემპიონატებივით და არა ვალის მოსახდელად. მართებული იქნება, თუ შემოგთავაზებთ მირიანის ბოლო გამოსვლებს ასეთ მატჩებში, ფაქტობრივად, მის უკანასკნელ ასპარეზობას საერთაშორისო სარბიელზე, კონკრეტულად — ირანსა და აშშ-ში — თავისუფალი ჭიდაობის სამშობლოში. იქ ჭიდაობა დაახლოებით იმას ნიშნავდა, ბრაზილიაში ბრაზილიელებთან გეთამაშა ფეხბურთი, ანდა იაპონიაში ადგილობრივ ძიუდოსიტებს გაჯიბრებოდი.

თურქებზე უკვე ვთქვი და ჭიდაობის სიყვარულით მათ არც ირანელები ჩამორჩებოდნენ. ძველი თუ საშუალო თაობის ქართველ გულშემატკივრებს უეჭველად ეხსომებათ ირანული ფილმი „მაზანდარელი ვეფხვი“. იმხანად ტახტი, ჰაბიბი, ჰოჯასტეპური უკვე მთარულ კერპთა რიცხვს მიეკუთვნებოდნენ და იმ გულითად მასპინძლობაში, რამაც საბჭოთა მოჭიდავეები სასიამოვნოდ გაკვირვებული დატოვა, მათი ნვლილიც ერია.

ირანელ და საბჭოთა მოჭიდავეთა ასპარეზობა ირანის შაჰის თანამეცხედრის, სორეას სახელობის სტადიონზე მოეწყო. ბილეთები სანთლით საძებარი იყო, ხოლო ასპარეზობაზე შაჰის — მოჰამედ რეზა ფეჰლევის გამოჩენამ ენით აუნერელი აჟიოტაჟი გამოიწვია. შაჰმა გაამხნევა თავისი გუნდი, სტუმრებსაც გაეცნო და საცქერლად დაბრძანდა. შუა ჭიდაობაში ერთი საათით კოკისპირული წვიმა წამოვიდა, მაგრამ მაყურებლები, მილურსმულებივით ისხდნენ სკამებზე.

მირიან ცალქალამანიძეს მეტოქედ ისევ ხოჯასტეპური გამოუყვანეს. მაგრამ თვალნათლივ გამოჩანდა როგორ დაუშინებია მეღბურნში ქართველ ფალავანს ირანელი ფეჰლევანი. მასპინძელი, რომელსაც უეჭველია, კარგად ახსოვდა მეტოქის „მწარე“ შუაკაური, სულ ხალიჩის კიდესკენ იწევდა და ცდილობდა ნამდვილი შერკინებისთვის თავი აერიდებინა. მთელი 12 წუთი გრძელდებოდა ეს კატა-თავგობანა. მირიანმა მეტოქე მცირე ხნით მაინც, ერთხელაც ვერ დაიგულა ხალიჩის სიღრმეში. მსაჯებ-



მაც, მით უმეტეს, შაჰის წინ, დიდსულოვნად აპატიეს ჰოჯასტეპურს გან-  
გან სირბილი და ფრე გამოაცხადეს. ხალიჩის მასპინძელმა გამარჯვებუ-  
ლის იერით დატოვა სარბიელი — კაცი ცალქალამანიძის საფირმო იღეთს  
გადაურჩა და ეს პატარა საქმე ხომ არ იყო, მეტი არც უნდოდა.

შერკინება, როგორც აღვნიშნე, თეირანში გაიმართა. მანამდე საბ-  
ჭოთა გუნდმა თავრიზში იოლად სძლია იქაურ ნაკრებს. ირანის დედა-  
ქალაქში შაჰი ბოლო წუთამდე ინყვეტდა ნერვებს. გოგი სხირტლაძე იმ  
წლის მსოფლიო ჩემპიონს სორურს მოერია, მაგრამ „მოჭიდავეთა შაჰმა“,  
მელბურნის ოლიმპიადის ჩემპიონმა ტახტიმ ანგარიში გაათანაბრა და  
ყველაფერი ოთარ კანდელაკის ძლიერ ქედზე დაეკიდა. უკვე ვთქვი, რომ

*ვახტანგ ბალავაძე,  
დავით ციმაკურიძე,  
არსენ მეყოკიშვილი,  
გივი კარტოზია,  
გიორგი სხირტლაძე და  
მირიან ცალქალამანიძე*

ირანელ გულშემატკივართა გზნება თურქებისას არ ჩამოუვარდებოდა, მაგრამ თეირანში ყველაფერი უფრო პატიოსნად იყო. ამასთან, ოთარ კანდელაკმა ისე შემუსრა მეტოქე, სათქმელი აღარაფერი იყო. მაყურებელი კი გამარჯვებულ საბჭოთა ნაკრებზე „გურჯ ფალავნებს“ იძახდა.

ირანის ნაკრებთან მეორე შეხვედრას შაჰი აღარ დასწრებია. ეტყობა, აღარ მოუნდა მეორედ განბილება. ირანელებმა გადაახალისეს თავისი გუნდი და მირიანსაც ახალი „თავსატეხი“ შესთავაზეს ახალგაზრდა მოჭიდავის ჰასანის სახით. უნდა ითქვას, ოლიმპიურ ჩემპიონს საკმაოდ გაუჭირდა მისი ძლევა, მაგრამ თუ შეხვედრის პირველი ნახევარი მეტოქის მანერის შესწავლას მოანდომა, მეორეში აქტიურ მოქმედებაზე გადავიდა და საბჭოთა ნაკრებს ამ მატჩში პირველი გამარჯვება მოუტანა. ახლაც გაიმარჯვა დანარჩენმა ორმა ჩვენმა თანამემამულემ — ვახტანგ ბალავაძემ და ოთარ კანდელაკმა და მთლიანად, ნაკრებმაც. სტუმართა წარმატება, ესეც უნდა აღინიშნოს, ღირსეულად დააფასეს დამარცხებულმა მასპინძლებმა...


აი, როგორ იხსენებს ირანულ ამბებს ვახტანგ ბალავაძე: “თეირანში ირანის ჭიდაობის ფედერაციამ მიგვინვია. აეროპორტში დავგზავდნენ ტახტი, ჰაბიბი, ხოჯასტეპური და სხვა ცნობილი ირანელი მოჭიდავეები. ქალაქის ქუჩებში გამოფენილი იყო მათი უზარმაზარი ფოტოები. მალე დავრწმუნდით, რომ ირანელებისთვის ფალავანი მართლაც სათაყვანებელი კერპია და პოპულარობით შაჰი თუ გაეჯიბრება. ჩვენი ტურნირი სტადიონზე ჩატარდა და თავად ირანის შაჰი რეზა ფეჰლევი დაესწრო. ვიდრე თავის ადგილზე დაბრძანდებოდა, შაჰი ჩვენს დელეგაციასთან მოვიდა და სათითაოდ ჩამოგვართვა ხელი. მე, როგორც გუნდის კაპიტანმა, შაჰს თაიგული მივართვი, თარჯიმანმა კი მოახსენა, ეს გურჯი ბალავაძეა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონიო. შაჰმა ამხედ-დამხედა, თავი გააქნია და გზა განაგრძო. მერე უცებ შეჩერდა და ისე დაეჭვებულმა შემომხედა. სხვებთან შედარებით ტანმორჩილი ვიყავი და, ალბათ, იფიქრა — ჯერ არ დაკაცებულა და ამან ორგზის ჩემპიონობა როდისლა მოასწროო.“ ბატონი ვახტანგი საბჭოთა მოჭიდავეების ირანში გამოსვლას მნიშვნელოვან წარ-



მატებად აფასებს და ამ წარმატებაში განსაკუთრებით გამოჰყოფს მირიან ცალქალამანიძის წვლილს: „მირიანი უკვე ოლიმპიური ჩემპიონი იყო და მისი გამოსვლა ყველას აინტერესებდა. მან, როგორც ყოველთვის, საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა. მე კარგად მახსოვს მირიანის პირველი ნაბიჯები ჭიდაობაში. ჩვენი თაობის ფალავნები, როგორც წესი, ქართული ჭიდაობით იწყებდნენ და ამის შემდეგ ხდებოდნენ დიდი ჩემპიონები. მან კარგად იცოდა ქართული ილეთები და როგორც კი გამოჩნდა, სულ რაღაც ერთ წელიწადში, საბჭოთა კავშირის ნაკრებში შეიყვანეს. ეს უკვე დიდი წარმატება იყო, იმის მანიშნებელი, რომ საერთაშორისო სარბიელზე გზა ხსნილი ჰქონდა.“

მირიან ცალქალამანიძემ დიდ სარბიელზე გამოსვლა ფაქტობრივად, 1958 წელს დაამთავრა. 1959-ში, სსრ კავშირის ხალხთა II სპარტაკიადაზე დამარცხდა ჭიდაობის ამომავალ ვარსკვლავთან, დაღესტნელ ალი ალიევთან და შემდეგ დიდ შეჯიბრებებზე აღარც გამოსულა. იმავე წლის მსოფლიო ჩემპიონატზეც, ცხადია, ალიევი წაიყვანეს. უნდა ითქვას, რომ ამ დაღესტნელ მოჭიდავესაც, რომელიც შემდეგ ჩინებული ექიმი დადგა, ცოტა უცნაური ბედი ჰქონდა: 5-ჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი, ოლიმპიადებიდან კი ერთი ოქროს მედალიც ვერ წამოიღო. არაერთხელ უთქვამს: ამ ხუთივეს სიამოვნებით გავცვლიდი ერთ ოლიმპიურ ოქროზეო, რომელიც მისმა წინამორბედმა პირველივე ცდით დაიმსახურა.

1958-ში კი, მირიან ცალქალამანიძეს, მაშინ ჯერ ისევ ნაკრების „შტატიან“ წევრს, კიდევ ერთი „გასეირნება“ ჰქონდა თავისუფალი ჭიდაობის სამშობლოში, აშშ-ში. ეს იყო საბჭოთა სპორტული დელეგაციის პირველი სტუმრობა ამ ქვეყანაში, თანაც „ცივი ომის“ დროს, ანუ ეს გზა პირველად მირიანის მონაწილეობით მოჭიდავეებმა გაკვალეს. „გასეირნება“ კი იმიტომ იყო, რომ ამერიკის კონტინენტზე გამართულ ოთხივე შეხვედრაში ამ ქვეყნის ნაკრებთან მეტოქედ ძველი ნაცნობი, რიჩარდ დელგადო ჰყავდა და ადრინდებურად დაჩაგრა. მართალია, მეორე შერკინებაში ხალიჩის მასპინძელმა ფრე მოახერხა, მაგრამ დანარჩენებში სადავო აღარაფერი იყო, მირიანი აშკარად ჯობდა ამერიკელს, ისევე, როგორც მაშინდელი



მირიან ცალქელამანიძე  
და ლევ კაპიტანოვი

მირიან ცალქელამანიძე:  
„უსაზღვროდ მადლობელი  
ვარ კაპიტანოვის. მთელი  
თავისი გამოცდილება,  
სული და გული ჩააქსოვა  
ჩემს წვრთნაში. კარგად  
იცოდა, ვის რა სჭირდებო-  
და, ჭკვიანი კაცი იყო...“

საბჭოთა ნაკრები ამერიკისას. პირველ ორთაბრძოლაში ჩვენმა მოჭიდავემ ისევ საფირმო შუაკაური ჩაუხვია დელგადოს და ძველებურად ისროლა, ცხადია, ბეჭებით ხალიჩაზე...

შემდეგ, მელბურნის ოლიმპიადის ტრიუმფატორი კიდევ რამდენიმე შედარებით ნაკლები მნიშვნელობის ტურნირზეც გამოვიდა, და უკანმოუბრუნებლად დატოვა ლურჯ-ნითელი წრე... ისიც უნდა ითქვას, რომ გზის გასაყარი ბევრი სახელოვანი სპორტსმენისთვის გამხდარა კარგი ცხოვრების დასაწყისი ძველი დიდების ხარჯზე. მირიანისთვის სხვაგვარად იყო — როგორც ჩვეოდა, ისევე გააგრძელა შრომა. 1965 წლამდე ფიზკულტურის პედაგოგი იყო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, 1965 წელს კი მშობლიურ კუთხეში დაბრუნება გადაწყვიტა — კახეთში, სადაც დაიბადა და გაიზარდა. თელავის ღვინის ქარხანაში შესთავაზეს ტექნოლოგის ადგილი. საქმე ის იყო, რომ ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებული, უკვე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ღვინის ტექნოლოგის დიპლომის მისაღებად ემზადებოდა. როგორც ჩვეოდა, ისე მოიქცა: უცბად მიიღო გადაწყვეტილება და კახეთში დაბრუნდა. გზადაგზა, სხვადასხვა პერიოდში, არაერთ ცნობილ პიროვნებას დაუმეგობრდა და ამ ურთიერთობებს ძალიან უფრთხილდებოდა.

## აბა, ღამეჭიღე!

რამაზ ჩხიკვაძე, სახალხო არტისტი: „ერთხელ სოჭში ვისვენებდი, სახმო სიმებზე ოპერაცია მქონდა გადატანილი და სოჭში გადავწყვიტე დასვენება. იქვე ემზადებოდა მოჭიდავეთა გუნდი, რომელიც შემდეგ თურქეთში უნდა გამგზავრებულიყო მსოფლიო ჩემპიონატზე. იქ იყვნენ არსენ მეკოკიშვილი, ამური ციმაკურიძე, გივი კარტოზია, ავთო ქორიძე — შესანიშნავი ახალგაზრდა, რომელიც უკვე დიდი ჩემპიონი იყო. მართლაც საოცარი გუნდი შეიკრიბა სოჭში. ერთ სასტუმროში ვცხოვრობდით, მთელი დღე ერთად ვიყავით — დილას, საღამოს...

ერთხელ მოჭიდავეებმა, პირველმა, მგონი გივი კარტოზიამ დაიწყო და მერე ამურიც აჰყვა, მირიანზე მკითხეს, ამას ნააქცევ თუ ვერაო? და თავადვე დაასკვნეს, ნამდვილად ვერ ნააქცევო. მირიანი ტანით პატარა იყო, მსუბუქ წონაში გამოდიოდა. მიწაზე ჭიდაობა იუარა, საჭიდაო ხალიჩაზე გავიდეთო. გავედით. მართალი გითხრათ, გამარჯვების იმედი მქონდა. ტანით მასზე დიდი ვიყავი და ალბათ, ძალაც მეტი მქონდა, მაგრამ ვის ეჭიდავეები, რას ნააქცევ... მოკლედ, ისეთ დღეში ჩამაგდო, კინალამ თავი წამაწყვიტა, როგორც უნდოდა, ისე მაბურთავა, ხან აქეთ გადამაგდო, ხან — იქით, სულ თავბედი მანყევლინა... ისე, თვითონ მირიანი შესანიშნავი ადამიანი, დიდებული პიროვნება იყო...”

რაფაელ ჩამიშკიანი, ოლიმპიური ჩემპიონი ძალოსნობაში: „მირიანი 1952-ში გავიცანი, ორჯონიკიძის ქუჩაზე, პეტრეს დარბაზში მივდიოდი ხოლმე გივი კარტოზიასთან და იქ გავიცანი. მშვიდი, გულთბილი და გულკეთილი ბიჭი გამოდგა, მაგრამ ჭიდაობაში უნდა გენახათ — ძალიან მაგარი და გულიანი ვინმე იყო... მაშინ ძალოსნები, მოკრივეები და მოჭიდავეები ერთ სპორტულ სამმართველოში ვიყავით გაერთიანებული, უფროსიც ერთი გვყავდა და ეს კიდევ უფრო გვაახლოვებდა, შეკრებებზეც ერთად ვიყავით, მათ შორის 1956-ში, ტაშკენტში, მელბურნის ოლიმპიადის წინ.

სწორედ ტაშკენტში ვართ, ოლიმპიადისთვის ვემზადებით. სამი ძალოსანი მივდიოდით ერთად: მე, უდოტოვი და ტროფიმ ლომაკინი. ლომაკინი 82 კილოგრამს იწონიდა და ჩემსავით ტანით პატარა მირიანს ცუდი რამე უთხრა. მირიანი გაბრაზდა, მოდი, ვიჭიდავოთო. იმას გაეცინა, რას ამბობ, მამლის წონა ხარო. შენ ხომ ხარ ასეთი დიდი, მოდი, დამეჭიდეო, — უთხრა მირიანმა და ამხელა კაცი მართლაც მწარედ დაახეთქა მიწაზე.

ტაშკენტიდან მირიანი ავსტრალიაში წავიდა და ოლიმპიური ჩემპიონიც გახდა, მე კიდევ, ჰელსინკის ოლიმპიადის ჩემპიონი, დამტოვეს... რატომ, რის გამო დამჩაგრეს? ვახტანგ ბალავაძე და გივი კარტოზია არ დაჩაგრეს ჰელსინკში? იქ სათადარიგოებად წაიყვანეს და ვახტანგის ნაც-

ვლად რიბალკო აჭიდავეს, გივის ნაცვლად — ბელოვი. ორივემ პირველივე შეხვედრა წააგო და შეჯიბრებას გამოეთიშნენ...

იმას ვამბობდი, მირიანი ბუნებით წყნარი და გულკეთილი იყო, ჩემი დიდი ხათრი ჰქონდა. მე კიდევ მაშინ თბილისელი კინტო ვიყავი, სულ ვაგიჟებდი ჩემი ჭკუით, მაგრამ არ ბრაზდებოდა, ხათრიანი იყო. კარგი რა, შენ ისევ დაიწყე შენებურად, — რალაცნაირად, კახური კილოთი მეტყოდა ხოლმე. გივი კარტოზიაც მუდამ გვეხუმრებოდა — ერთი გამაგებინეთ, თქვენს შორის ვინ არის უფრო მაღალიო. მე ვარო, — თავისი განსხვავებული ხმით, ამაყად პასუხობდა მირიანი. შენ გრძელი ხარ, მაღალი კი არამეთქი — მე ასე ვინუგეშებდი თავს.

1992 წელს 40 წელიწადი გავიდა ჰელსინკის ოლიმპიადიდან და ყველა ოლიმპიური ჩემპიონი მოსკოვში დაგვპატიჟეს. მე და მირიანი ძველებურად ერთ ნომერში ვცხოვრობდით სასტუმრო „სპორტში“. საუზმე, სადილი, ვახშამი, ღონისძიებები „ოლიმპიისკის“ დარბაზში... ყველგან ერთად ვიყავით... ზოგ ყვავილს სურნელი არ აქვს, ზოგისა — პირდაპირ წაგაქცევს. მირიანს რომ უყურებდი, ადამიანის გულის სითბო გეცემოდა. ასეთი კაცი უნდა წასულიყო ამ ქვეყნიდან? მაგრამ ბიჭის სიკვდილმა იმოქმედა...

მე მაგონდება მაგისი ოჯახი თელავში და აქ, თბილისში, ჯანაშიას ქუჩაზე. თელავში რომ ჩავდიოდით, თუ რამე შეჯიბრება იყო ძალოსნობაში, მაგისი მასპინძლობა უნდა გენახათ. ყოველთვის საუკეთესო ნაკურთხ ღვინოს გამომატანდა ხოლმე. თვითონ დალევით არ სვამდა. იმდენი გაქვს დალეული, საკმარისია-მეთქი, ვეუბნებოდი... მეოჯახე და ამასთან ამხანაგებს გადაყოლილი იყო. განსაკუთრებით გივი კარტოზია უყვარდა. ეგენი ერთად გახდნენ ოლიმპიური ჩემპიონები მელბურნში. მირიანზე ცუდი არავისგან გამიგია, ვისაც არ გინდა შეკითხოდი, ყველა აუცილებლად კარგს გეტყოდა.

შვილი რომ გარდაეცვალა, მივედი. სკამზე იჯდა, ერთად დავღვარეთ ცრემლი. ერთი ხუთი წუთი მაინც ვიყავით ერთმანეთს გადახვეულები... მერე თბილისში რომ ჩამოდიოდა, მკურნალობდა ხოლმე, ვერაფერი უმ-

ველეს. გასვენებაზე, თელავში კოკისპირულმა წვიმამ დაუშვა. ეტყობა, ღმერთმა გვანიშნა — ასეთი დიდი კაცი გარდაიცვალა.“

### პატაშო

თამაზ ხიდაშელი, მეღვინე: „მირიან ცალქალამანიძე კურდღელაურის ღვინის ქარხანაში გავიცანი, ჩემსავით მეღვინე იყო და უფროსად დაგვინიშნეს. საოცარი კაცი გახლდათ, როგორც უფროს ძმას, ისე ვუყუარებდი და მისგან ბევრი რამ ვისწავლე. ქარხანაშიც ძალიან კარგი სახელი ჰქონდა. მთელ კახეთს ეგ გვყავდა პირველი ოლიმპიური ჩემპიონი და იოლი მისახვედრია, როგორი პატივისცემით ეპყრობოდნენ ყველგან. მაინც უბრალო, თავმდაბალ კაცად დარჩა, თუმცა მუშაობაში მომთხოვნი იყო. ჩვენ მთელი ტექნოლოგიური ციკლის პირველ ეტაპზე, ჩამოსხმაზე ვმუშაობდით და მირიანი ყველა ოპერაციას, კუპაჟი იქნებოდა თუ სხვა რამ, ძირისძირამდე უნდა ჩაჰყოლოდა, ისე გული ვერ უძლებდა. მასთან მუშაობის წლები მართლაც მშვენიერი დრო იყო ჩემთვის.“

ის არ გაინტერესებთ, ვინ იყო მისი ყველაზე დაუძლეველი და საშიში მეტოქე? — განა აკბასი ან ის ირანელი, არამედ — ერთი მისი თანასოფლელი ბიჭი, გვარად გერგიშვილი. პატაშოს ეძახდნენ, ახლა აღარც ის არის ცოცხალი. ერთი უბრალო, ღარიბი და ალალი ბიჭი იყო, მაგრამ მისი ჭიდაობა უნდა გენახათ... მირიანს სადაც შეხვდებოდა, ყველგან აქცევდა. იძახდა კიდეც მირიანი — ნებისმიერ შეჯიბრებაზე ვინც გინდა შემხვდეს, ყველას ნავაქცევ, ოღონდ პატაშო არ იყოსო. როცა მეღბურნში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, მერე აქაც ჩამოვიდა სოფელში. პატაშომ უთხრა, გავიგე, რაღაც ჩემპიონი გამხდარხარ და მინდა დაგეჭიდო, ვნახო ერთი ამდენ ყიალში იქნებ რამე ისწავლეო. დაეჭიდა და იქვე თვალწინ არ წაგვიქცია ოლიმპიური ჩემპიონი?!...

მირიანს მაინც ძალიან უყვარდა პატაშო და მის ოჯახს სულ მუდამ ეხმარებოდა, როგორც შეეძლო. მაგრამ „დიდ სპორტში“ ვერ წაიყვანა, —





ვალიკო (პატაშო)  
გერგიშვილი

ვინ იყო მირიან ცალქალამანიძის ყველაზე დაუძლეველი და საშიში მეტოქე? — განა აკბასი ან ის ირანელი, არამედ — ერთი მისი თანასოფლეელი ბიჭი, გვარად გერგიშვილი. პატაშოს ეძახდნენ, ახლა აღარც ის არის ცოცხალი. ერთი უბრალო, ღარიბი და ალალი ბიჭი იყო, მაგრამ მისი ჭიდაობა უნდა გენახათ... მირიანს სადაც შეხვედებოდა, ყველგან აქცევდა. იძახდა კიდევ მირიანი — ნებისმიერ შეჯიბრებაზე ვინც გინდა შემხედვს, ყველას წაგაქცევ, ოღონდ პატაშო არ იყოსო. ოლიმპიური ჩემპიონი რომ გახდა, სოფელში ჩავიდა. პატაშომ უთხრა, გავიგე, რაღაც ჩემპიონი გამხდარხარ და მინდა დაგეჭიდო, ვნახო ერთი ამდენ ყიალში იქნებ რამე ისწავლეო. დაეჭიდა და იქვე თვალწინ არ წაგვიქცია ოლიმპიური ჩემპიონი?!...



ცხოვრება უფრო მძიმეა ხოლმე, ვიდრე ერთი ადამიანის, თუნდაც ოლიმპიური ჩემპიონის სურვილი... ერთხელ ორი თუ სამი გოდორი ყურძენი მოეტანა პატაშოს ქარხანაში ჩასაბარებლად. ღარიბი კი იყო, მაგრამ ღირსება არ აკლდა, — იმდენი ხარჯი მოაყოლა, რამდენსაც იმ ყურძენში აიღებდა: ორი დედალი დაეკლა და სხვა საჭმელ-სასმელიც წამოეღო. ორჯერ მეტი ყურძენი დავეუნერეთ, — მაშინ მოდიოდა ასეთი რამეები. ნაღდად იმსახურებდა, რადგან ძალიან ალალი ბიჭი იყო...”

შემდეგ, როცა მირიან ცალქალამანიძის მეუღლეს, ქალბატონ მერის თელავში, მათს სახლში მივაკითხე, ასეთი რამ მითხრა: „ახლახანს პატაშოს შვილმა, ტარიელმა მომინახულა და ხუთასი ლარი დამიტოვა, რაღაც ბიზნესი წამოუწყია და პირველი ნაშოვნის ფული მე მომიტანა. როცა ვუსაყვედურე, ასე რატომ შენუხდი-მეთქი, მიპასუხა: რომ მქონდეს, ყოველდღე უნდა გიზიდოთ 500-500 ლარი, იმდენი ამაგი ჰქონდა ბატონ მირიანს ჩემს ოჯახზეო...” ქალბატონი მერი თელავში მარტოა ხოლმე სახლში, მაგრამ მარტოც არ ეთქმის, რამდენადაც მეზობლების დიდ ყურადღებას გრძნობს, ისე, როგორც ის მეზობლები მირიანისგან — ვიდრე ცოცხალი იყო. ზამთარს კი ქალბატონი მერი თბილისში, შვილების ოჯახებში ატარებს.

ტარიელ გერგიშვილი, პატაშოს, ანუ ვალიკო გერგიშვილის შვილი:

„მამაჩემი და მირიანი ბავშვობის მეგობრები იყვნენ. მამა ობოლი იყო, დედის ანაბარა ვიყავით მე და ჩემი ძმა და ოჯახიც გაჭირვებით ცხოვრობდა. მაშინ მირიანის ოჯახსაც საკმაოდ უჭირდა, ორივემ ბავშვობა ჯაფაში და წვალებაში გაატარა. მირიანმა სახლი რომ გაყიდა, ერთ ხანს ჩვენთან ცხოვრობდა.

მამაჩემი ძალიან ძლიერი მოჭიდავე იყო, წაუქცეველი ფალავანი. ასეთივე იყო მირიანი, მერე ის პროფესიულ გზას დაადგა ჭიდაობაში, გაჰყვა სპორტს და გაუმართლა კიდევ. მამაჩემსაც რამდენჯერმე შესთავაზა ქალაქში გადასვლა და ვარჯიში, — კარგი ბედი გექნებაო, მაგრამ პატაშომ იუარა, — იმ ყველაფერს მე აქაური ტოროლას ხმა მირჩევნია და ჩემს სოფელს ვერ მივატოვებო. არც შემდეგ უნანია ამის გამო. მაგრამ ტლუ კაცი

სრულებით არ იყო, ისეთი სიტყვა-პასუხი იცოდა, პროფესორი გეგონებოდათ.

მირიანი ოლიმპიური ჩემპიონი რომ გახდა, მერე სოფელში ჩამოვიდა, კონდოლში. დიდი მიღება გაუმართეს სოფლის ცენტრში, ყველა ადგილობრივი უფროსი აქ იყო. ატყდა ორლობეში „პობედებისა“ და „ზიმების“ გრიალი. მირიანმა ეს ხალხი მოათვალა და მაშინვე ის იკითხა — ჩემი პატაშო სად არის, როგორ დაგავინყდათო. ახლა ჩვენ მოგვადგა მთელი ეს კოლონა. მაშინ ჩვენს პატარა სახლს ვაშენებდით, უკვე საძირკველი გვექონდა ჩაყრილი. მამას მხოლოდ წინსაფარი მოხსნეს, ისე წაიყვანეს, ერთიანად კირში ამოსვრილი, თუმცა ჯერ უარობდა, — თქვენთვის არა მცალია, სახლს ვაშენებო. მირიანმა რომ დაინახა, მაშინვე ეცა, გადაეხვია პირდაპირ კირიანს და ისე მოითხვარა, ველარ გაიგებდით, ამ ორიდან ვინ აშენებდა სახლს. მამაჩემი საზეიმო სუფრაზეც საპატიო ადგილზე იჯდა, მანამდე კი ხუმრობა-ხუმრობით ისევ დაეჭიდა მირიანს. კარგი კოსტიუმი მოუტანეს და ისე დასვეს სუფრაზე.

მართლაც იშვიათი მეგობრობა ჰქონდათ... მერე, მირიანი ცნობილი კაცი რომ გახდა, ისეთი ხალხი მოჰყავდა ჩვენთან, გაგიკვირდებოდათ, პურმარილსაც მოიტანდა ხოლმე. ისხდნენ ეს თანამდებობის პირები, ცნობილი ხალხი ჩვენს მინურში, ერთ პატარა ოთახში და მამაჩემთან ერთად ქეიფობდნენ. გაჭირვებაშიც ბევრჯერ დაგვხმარებია. ერთი შემთხვევა განსაკუთრებით მახსოვს, მაშინ ჯერ პატარა ვიყავი. 10 თუ 15 ტომარა ხორბალი მოგვიტანა. მამაჩემი სახლში არ იყო და ის ტომრები მირიანმა თავისი ზურგით შემოგვიზიდა სახლში...

ერთხელ მამაჩემს ავარია შეემთხვა, ცხენით მიმავალს მანქანა დაჯახებია. როცა გავიგე, თქმა რად უნდა, მაშინვე საავადმყოფოში გავქანდი. მირიანი უკვე იქ იყო, თვალეები ცრემლიანი ჰქონდა და ექიმებს ერხუბებოდა, — ჩქარა, ჩქარა მიხედეთო.

სამუშაოდაც მირიანმა წამიყვანა თავისთან. კურდღელაურის ღვინის ქარხანაში და სხვაგანაც, სადაც შემდეგ ვმუშაობდი, ასე წარმადგენდა — გაიცანით, ჩემი შვილიაო. თავისი შვილი ვასიკოც ქალაქიდან ხშირად ჩა-

მოჰყავდა — სოფლის ცხოვრებას უნდა მიეჩვიოსო. მწყემსადაც კი უშვებდა ხოლმე. სიქას გვაცლიდა — იმდენს გვაჭიდავებდა ერთმანეთთან, თვითონ იდგა და მსაჯობდა, მოგებულისთვის ქება არ ენანებოდა და ნაგებულისთვის — საყვედური.

მამაჩემი მირიანს თბილისშიც აკითხავდა. პირველად რომ ჩააკითხა სოფლურად ჩაცმულმა და ხურჯინაკიდებულმა, მერიმ, მირიანის მეუღლემ, ძალიან გაიოცა — ვინ არისო, იკითხა. როგორ თუ ვერ იცანი, ჩვენი პატაშოოო, გაიკვირვა თურმე მირიანმა. მერე სუფრაზე მამაჩემმა ვითომ იუკადრისა — როგორ მიბედავ, ვინ არის შენი პატაშოოო. ორივეს ძალიან კარგი იუმორი ჰქონდა, მაგათი ხუმრობა უნდა გენახათ... მირიანმა შემდეგ სულ ბატონო ვალიკო უძახა და მართლაც ბატონის საკადრისი ტანსაცმელი გამოატანა, იაპონიიდან ჩამოტანილი კოსტიუმი და პალტო უსახსოვრა. საერთოდ, ასეთი კაცი იყო: ცდილობდა ყველას დახმარებოდა. მამაჩემი რომ გარდაიცვალა, მირიანი არც შემდეგ აკლებდა ყურადღებას ჩვენს ოჯახს. დღესაც, მირიანის გარდაცვალების შემდეგ, მის ოჯახობასთან ისევ ის ძველი ახლობლობა გვაკავშირებს, მისვლა-მოსვლა. მე, სანახევროდ, მაგათ ოჯახში გავიზარდე და ეს ოჯახი ძალიან მიყვარს...”

## ოჯახი


მირიანი, მისი ახლობლების თქმით, ოჯახის ნამდვილი მამა იყო, შინ და გარეთ ყველა საქმეს ასწრებდა. ბუნებით დაიბადა ასეთი, მომთხოვნი იყო ყველასადმი, პირველ რიგში, საკუთარი თავისადმი, ასევე ეკიდებოდა შინაურებს და თანამშრომლებსაც. უცხო თვალს ზედმეტად მკაცრიც მოეჩვენებოდა, მაგრამ მერე ყველა რწმუნდებოდა, რამდენად სამართლიანი კაცი იყო.

30 წლისამ შექმნა ოჯახი, სწორედ მელბურნის ოლიმპიადაზე გამარჯვების შემდეგ. ქორწინებაც ისევე უცაბედად შედგა, როგორც მირიანის სპორტული ბიოგრაფია და ბედნიერად გაგრძელდა... ქალბატონი მერი

თამაზ ხიდაშელი, მეღვინე: „მირიან ცალქალამანიძე კურდღელაურის ღვინის ქარხანაში გავიცანი, ჩემსავით მეღვინე იყო და უფროსად დაგვინიშნეს. საოცარი კაცი გახლდათ, როგორც უფროს ძმას, ისე ვუყურებდი და მისგან ბევრი რამ ვისწავლე. ქარხანაშიც ძალიან კარგი სახელი ჰქონდა. მთელ კახეთს ეგ გვყავდა პირველი ოლიმპიური ჩემპიონი და იოლი მისაზვედრია, როგორი პატივისცემით ეპყრობოდნენ ყველგან. მაინც უბრალო, თავმდაბალ კაცად დარჩა, თუმცა მუშაობაში მომთხოვნი იყო. ჩვენ მთელი ტექნოლოგიური ციკლის პირველ ეტაპზე, ჩამოსხმაზე ვმუშაობდით და მირიანი ყველა ოპერაციას, კუპაჟი იქნებოდა თუ სხვა რამ, ძირისძირამდე უნდა ჩაჰყოლოდა.“







მაშინ მეცხოველეობის კვლევით ინსტიტუტში მუშაობდა, რომლის დირექტორის მოადგილე გახლდათ მიხეილ რჩეულიშვილი, მეცნიერებათა დოქტორი. მირიანს რომ საყვარელი ძია ჰყავდა, შალიკო, სწორედ იმისი ბიძა იყო და ცნობილი მწერლის, გურამ რჩეულიშვილის მამა გახლდათ. თავიდანვე დაადგა თვალი ახალგაზრდა თანამშრომელს — ჩემი რძალი უნდა გახდესო. ქალბატონ მერის მამა 37-ში დაუხვრიტეს. ერთი უბრალო ლეჩხუმელი ბიჭი ჩამოვიდა თბილისში და იმდენი ისწავლა და იმეცადინა, ლუდის დიდი ქარხნის დირექტორი გახდა. ახლა ცოტა გასაკვირია, მაგრამ როცა ასეთი თანამდებობის მქონე კაცის პატიოსნებაზე ალაპარაკდებიან, ალბათ ეს ცოტას არ ნიშნავს, მაგრამ იმ შავბნელ დროს ეს ანგარიშში ჩასათვლელი არ იყო...

როცა ერთმანეთს გააცნეს, მირიანი მაშინვე მიხვდა, რაში იყო საქმე. სულ ორი კვირის ნაცნობობის შემდეგ ხელი სთხოვა, პირდაპირ და გულწრფელად, როგორც იცოდა: ახლა სიყვარული რომ აგისხნა, მაინც არ დამიჯერებ, გაგეცინება, მაგრამ ასე გადავწყვიტეო... თუ სპორტში ხანდახან არ უმართლებდა, ამაში კი ჰქონია ყისმათი... მირიანის სტუმართმოყვარე ოჯახის კარები ღია იყო ყოველთვის. ასეთი ურთიერთობა ჰქონდა ყველასთან. მეზობლებზე და იქაურ მეგობრებზე აღარაფერს ვიტყვი, და როგორც მირიანის სიძე, ვლადიმერ ტაბიძე მიაშობს, თბილისის საერთაშორისო ტურნირზე არაერთხელ ჩამოსულან მისი ყოფილი „დაუძინებელი“ მეტოქეები, ხოჯასტეპური და აკბასი და მირიანს მუდამ თავიანთ სამშობლოში ეპატიუებოდნენ ოჯახთან ერთად, თვითონ კი კახეთში იწვევდა სტუმრად. ძველი მეტოქეობის მიუხედავად, საოცრად თბილი ურთიერთობა ჰქონიათ ერთმანეთში... ჩვენს მოჭიდავეთა საძმოზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია: ვახტანგ ბალავაძე, გივი კარტოზია, გოგი სხირტლაძე, ალექსანდრე მაისურაძე, სხვები და სხვები, მირიანის ხშირი სტუმრები იყვნენ.

ერთხელ, ჯანო ბაგრატიონს, უკვე მირიანის გარდაცვალების შემდეგ, მისი ახლობლებისთვის უთქვამს: ასეთი ალალი და ხელგაშლილი კაცი არ მინახავსო. მირიანთან დახმარების სათხოვნელად მისული კაცი უკან განზილებული არასოდეს გამობრუნებულა. სხვების დახმარება მისი

ბუნების ნაწილი იყო. იტყოდა ხოლმე, რაკი რაღაცას მთხოვენ, იმათ ჩემზე მეტად უჭირთო. მირიანის სიძემ ერთი მართლაც საკვირველი ამბავი მითხრა: ოლიმპიურ ჩემპიონს აეროპორტში ერთი კაცი გაეცნო, თავისი მძიმე მდგომარეობა აუწერა და დასახმარებლად 5 ათასი მანეთი სთხოვა, — მხოლოდ ეს გადამარჩენსო. წარმოიდგინეთ, უშოვა და მისცა: გექნება — დამიბრუნებ, არადა, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროსო. ასე იქცეოდა უბანში, ქარხანაში, ნათესაობაში... ტანით პატარა, მაგრამ სულით დიდი კაცი და დიდი ჩემპიონი იყო, რომელიც ბევრ გულშემატკივარს უცნაური გვარით დაამახსოვრდა. მის დიდ ბუნებაზე არაერთხელ მომისმენია. კახეთში ისე არ წავიდოდა, გამყოლი მგზავრები არ ჩაესვა — მაინც იქეთ მივიღივარო. ერთხელ მანქანის გამტაცებლები ჩაუსხდნენ და სოფელ გომბორთან გადაახვევინეს, მერე იცნეს და ბოდიშად დაიღვარნენ, — ბატონო მირიან, გვაპატიე, უცბად ვერ გიცვანითო.

ზომიერად მკაცრი და წესრიგის მოყვარული იყო, მაგრამ ოჯახისთვის თავს გაიმეტებდა. როცა ვაჟი, ვასიკო დააქორწინა და ქალიშვილი რუსუდანი გაათხოვა, ახლა მათს ოჯახებზე გადაიტანა ზრუნვა — ხან ერთთან იყო, ხან მეორესთან. ყველაფრის ფრიადზე შესრულება უყვარდა. კონდოლში ნაკვეთი მისცეს და ისეთი რა უჭირდა, მაგრამ დაიკაპინა ხელები და მოსავალი მოიყვანა, მართლაც უჩვეულო. მარტო ხორბალი 3 ჰექტარზე 14 ტონა მიიღო, მაშინ, როცა სხვებისა ნაადრევმა ყინვამ შეინირა. წესრიგიანმა კაცმა ზუსტად იცოდა, როდის რა უნდა გაეკეთებინა. როცა სიძე თავის სიმამრზე ისე ილაპარაკებს, როგორც ღვიძლ მამაზე, გასაგებია, როგორი იყო მირიანი ოჯახში.

მელვინე კაცი მსმელი არ გახლდათ. „მთვრალი არასოდეს გვინახავს, — მითხრა ვლადიმერ ტაბიძემ, — მაგრამ სუფრის გაძლოლა მშვენივრად ეხერხებოდა. კარგი კახური იუმორით... ხალხი მეორე დღეს „პახმელიაზე“ მისი ხუმრობების გახსენებით გამოდიოდა“.

სიბერის ბოლო წელიწადი კი ძალიან მწარე გამოდგა მირიან ცალქალამანიძისთვის. გულის ინფარქტით მოულოდნელად დაიღუპა მისი ვაჟიშვილი ვასიკო, სულ 43 წლისა. ამ თითქოს მკაცრმა და უტეხმა კაცმა,



ველარ გადაიტანა შვილის სიკვდილი, თან უკვე შაქარიც ანუხებდა და ერთი წლის შემდეგ პირდაპირ საოპერაციო მაგიდაზე გარდაიცვალა. კიდევ ერთი სახელოვანი ქართველი გავაცილეთ ამ ქვეყნიდან... ორი შვილისგან ოთხი შვილიშვილი დარჩა სახელოვან პაპას, — ვაჟისგან ბიჭი და გოგო, ვლადიმერს და რუსუდანს ორი გოგონა ჰყავთ.

P.S. 2009 წლის ზაფხულში თელავში სპორტული გამოფენა მოუწყიათ. ქალბატონი მერი, როგორც ოლიმპიური ჩემპიონის მეუღლე, ბუნებრივია, დასწრებია ამ ღონისძიებას. დიდ სტენდზე ვინღა არ ყოფილა გამოფენილი, ვისაც კი ამ კუთხიდან რაიმე წარმეტყველებისთვის მიუღწევია სპორტში. სადღაც კუთხეში შეუნიშნავს მირიანის პატარა და უსახური ფოტო, ასე ვთქვათ, ზრდილობის გულისთვის გაკრული... ასეთი მიდგომით ძალიან იოლია წარსულის, თუნდაც ახლო წარსულის დაკარგვა ან მივიწყება, იმ წარსულისა, რომლისგან იშვება ანმყოც და მომავალიც. მირიან ცალქალამანიძის ბიოგრაფია სულ ცოტა, იმად მაინც გამოდგება, რომ ერთ დიდ, ნათელ მაგალითად იქცეს მრავალი ახალგაზრდა სპორტსმენისთვის, და არა მხოლოდ მათთვის...



პაპა და შვილიშვილი —  
დიდი და პატარა მირიანი  
ნორჩი მოჭიდავეების  
გარემოცვაში



## მირიან ცალქალამანიძე

დაიბადა 1927 წლის 9 მარტს კონდოლიში, თელავი. თავისუფალი სტილის მოჭიდავე (52 კგ). XVI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1956, მელბურნი), მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე (1957) და მესამე (1954) პრიზიორი, მსოფლიოს თასის მეორე პრიზიორი (1956), სსრკ ხალხთა I სპარტაკიადის ჩემპიონი (1956), სსრკ ჩემპიონი (1954), სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, ვახტანგ გორგასლის II ხარისხისა და ღირსების ორდენების კავალერი. გარდაიცვალა 2000 წლის 3 აგვისტოს.



## MIRIAN TSALKALAMANIDZE

Freestyle wrestler (52kg), was born on March 9, 1927 in Kondoli village of Telavi. He was a champion of XVI Olympic Games (1956, Melbourne), silver (1957) and bronze (1954) medalist of the world championships and silver medalist of the world cup (1956). Tsalkalamanidze was champion of the USSR's first sports and athletics meeting (1956) and champion of the USSR (1954). He was an Honored Master of Sports of the USSR and was decorated with Vakh tang Gorgasali Order of 2nd class and Order of Honor. Tsalkalamanidze deceased on August 3, 2000.